სპორტიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 11 მაისი 2006 №105 (2727) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანა ქართველი ზეიმობს ზეიმობს

UEFA CUP

ბორო - მოკლული ტორო

სევილიამ მაკლარენს გზა დაულოცა

AFP ეინდჰოვენიდან

ენცო მარესკას დუბლი „სევილიას“ ზეიმში შეეწია, სტივ მაკლარენს კი ინგლისის ნაკრებზე ფიქრის გარდა აღარაფერი დარჩენია

გერმანიის დაბომბვის გრაფიკი

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006

თვეზე ნაკლები რჩება მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე და გუშინ გაცხადდა, თუ ვინ როდის ჩაბრძანდება გერმანიაში. მაშ, ასე: პირველი სტუმარი ტოგო 15 მაისს მიუჯდება სუფრას, 20-ში მას ანგოლა მიჰყვება, 26-ში იაპონია, ხოლო 27 მაისს საუდის არაბეთი და განა ჩავლენ. 29 მაისი ეკვადორის დღეა, ხოლო ამ თვის ბოლო რიცხვში პოლონეთი და არგენტინა ეწვევიან გერმანიას. ივნისის პირველ დღეს ხორვატიას ელიან, ორში — ამერიკას და მექსიკას, სამ ივნისს შვედებს, ხოლო 4-ში სუფრას ოთხნი შეემატებიან — ტრინიდადი, მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილია, პორტუგალია და კოსტა რიკა. 5 ივნისს ავსტრალია გადალახავს გერმანიის საზღვარს და იმავე დღეს გერმანელები ნახავენ ტუნისს, კოტ დივუარს და ინგლისს. ირანი, სამხრეთ კორეა, სერბეთი და ჰოლანდია 6 ივნისს ჩავლენ, ხოლო 7-ში ჩინეთი და იტალია. ესპანეთი, საფრანგეთი და შვეიცარია ჩემპიონატის დაწყების წინადღეს დააბიჯებენ გერმანულ მიწას, 9 ივნისს კი დებიუტანტი უკრაინა ჩაფრინდება. პარაგვაის ჩასვლის თარიღი უცნობია. ალბათ, ჩუმად შეპარვას აპირებენ.

ხალხისიონი დაფასდა

ბოლნისი საჩემპიონო ზეიმის მოლოდინში იყო და იქადნებოდნენ კიდეც ქვემოქართლელები — „სიონს“ ჯერარნახულ დახვედრას მოუწყობთო. ჩემპიონთა ლიგის სცენარის რა გითხრათ, მაგრამ გუშინ ბოლნისში ქართული მასშტაბებით მართლაც უპრეცედენტო ზეიმი გაიმართა.

ბოლნისის გამგეობის წინ შეკრებილი რამდენიმე ათასი ადამიანის განწყობაზე ნამდვილად არ უმოქმედია საქართველოს პრეზიდენტის მოუცლელობას. „სიონის“ მწვრთნელ-ფეხბურთელებს შეპირებული სატვირთო მინი-ავტობუსი დაახვედრეს, წინ შეაბჯრული ცხენოსნები წაუმძვარეს და ხალხით სავსე ბოლნისის ქუჩები მოატარეს. მერე კი ეპიცენტრმა გამგეობის წინ მოედანზე გადაინაცვლა, სადაც ჩემპიონისთვის კუთვნილი თასი გუნდს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გადასცა. საჩემპიონო ოქროს მედლები ფეხბურთელებმა პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილის ხელიდან მიიღეს, თასი კი ამასობაში მოედანზე ხელიდან ხელში გადადიოდა.

მილოცვები და ხვევნა-კოცნა, მოედანზე დაშვებული პარაშუტისტი, შამპანურის წვიმა და ემოციის ზღვა — დაახლოებით ასეთი იყო გუშინდელი ბოლნისი, რომელიც „ოფიციალური ნაწილის“ შემდეგ, რაღა თქმა უნდა, სადღეგრძელოებში ჩაიძირა...

გუშინ მილოცვებთან ერთად დაპირებაც იყო, რომ კლუბს მეოხი არ მოაკლდება — უკვე ორი თვის შემდეგ „სიონი“ ღირსეულად წარადგენს საქართველოს ევროპულ სარბიელზე.

ჩემპიონატი დასრულდა და განსჯა-ანალიზის დრო დადგა. იყო კი მე-17 ეროვნული წინგადადგმული ნაბიჯი? ჯერ მეტისმეტად ადრეა საიმისოდ, რომ ობიექტური დასკვნები გავაკეთოთ და რაც წინგადადგმულ ნაბიჯს შეეხება, ამის საუკეთესო ბარომეტრი ჩვენი ფეხბურთისთვის ყოველთვის ევროასპარეზი იყო. ეს უკვე მხოლოდ ბოლნისელებსა და „სიონს“ კი არა, „ვიტ ჯორჯიას“, „დინამოს“ და საქართველოს თასის ჯერაც უცნობ მფლობელსაც ეხება. ჩვენი საქმე ისეა, ევროპაში სირცხვილის არჭამა უკვე სიამაყის საბაბი იქნება, თუ არა და, მე-17 ეროვნულსაც ისევე წაშლის დრო მეხსიერებიდან, როგორც გუშინ დაღვრილი შამპანურის ქაფს...

ჩემპიონებს კიდევ ერთხელ ვულოცავთ ჩემპიონობას. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო, „სიონის“ ისტორიაში ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო ეტაპი ხომ მხოლოდ ახლა იწყება...

გიორგი ნოზაძე

გვინდოდა, ყველაფერი ლამაზად დასრულებულიყო, მაგრამ...

რევაზ ძოძუაშვილი: კახა ცხადაძეს ხელით არ შევხებივარ

ბორის დოლიძეს ფოტო

ისე მოხდა, რომ ბოლნისის „სიონმა“ მისთვის ისტორიული წარმატება ქუთაისში იზეიმა — კახა ცხადაძის გუნდმა 4:0 გაანადგურა „ტორპედო“ და ჩემპიონობაც ირგუნა, ოღონდ ნამატჩევს დიდი რია-რია მოხდა: ფეხბურთელებს შორის ხშირი იყო წალაპარაკება, მსაჯის სასტვენის შემდეგ კი „ტორპედოს“ მწვრთნელ-კონსულტანტ რევაზ ძოძუაშვილს და „სიონის“ თავკაც კახა ცხადაძეს შორის ინციდენტი მოხდა, ისიც ითქვა, ერთმანეთს ფიზიკურად შეეხნენო.

არეულობის მიზეზი ისედაც ადვილად ასახსნელი იყო: ითქვა, ორივე გუნდი ფრეზე თანახმაო, „ტორპედო“ კი ძალიან გააღიზიანა „სიონის“ მომეტებულმა მადამ და ოთხბურთიანმა წაგებამ აღაშფოთა.

რევაზ ძოძუაშვილმა ჩვენთან საუბარში ეს მოსაზრება დაადასტურა. გვინდოდა, ყველაფერი ლამაზად დასრულებულიყო, მაგრამ არ გამოვიდაო...

„ჩემპიონატის ბოლო თამაში იყო, ჩვენ ყველა ვარიანტში დარჩენილები ვიყავით უმაღლეს ლიგაში, ხოლო „სიონს“ ჩემპიონობისთვის ქულაც ჰყოფნიდა. ჩაფიქრებული გვქონდა, რომ ბოლნისელებისთვის მატჩის შემდეგ ლამაზად მიგვეღოცა დიდი წარმატება, მაგრამ თამაშის სურათმა, ფეხბურთელებს შორის შელაპარაკებებმა და ანგარიშმა სხვანაირად წაიყვანა საქმე.“

რაც შეეხება ცხადაძესთან ინციდენტს, ძოძუაშვილი ამბობს, რომ ყველაფერი მოგვარებულია: „შელაპარაკება მოგვივიდა, მაგრამ ხელით შეხებას და მუშტი-კრივს ადგილი არ ჰქონია.“

„ტორპედოს“ პრეზიდენტმა გრიგოლ ხურციძემ კი მოკლედ გვითხრა:

„მე ლოჟაში ვიჯექი და ჩოჩქოლი რომ დაიწყო, იქ არ ვიყავი. როდესაც ადგილზე მივედი, ვითარება უკვე ჩამცხრალი იყო. რით დაიწყო ეს არეულობა? ალბათ, ვარკვეული პიროვნებების პატარ-პატარა ამბიციებით, მაგრამ ეს ხმამაღლა სალაპარაკო არ არის — საქმე საფეხბურთო ოჯახში მოგვარდება.“

ეს რაც შეეხება ხურციძისა და ძოძუაშვილის კომენტარებს, დანარჩენი კი მკითხველმა განსაჯოს...

ილია ნანოგაშვილი

ქართველები ძველ ეკლესიასთან იკრიბებიან ეროვნულმა ავსტრია გერმანიაზე გაცვალა

ალტენკირხენი ანუ „ძველი ეკლესია“ — ასე ჰქვია პატარა გერმანულ ქალაქს, რომელიც 27 მაისს საქართველოსა და ახალი ზელანდიის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრას უმასპინძლებს. ჯერჯერობით არ არის დაზუსტებული შეხვედრის დაწყების დრო. სამაგიეროდ, გადაწყდა, რომ საქართველოს ნაკრები 24 მაისს შეკრებას ალტეკირხეშივე დაიწყებს და ავსტრიულ დორნბირნში მხოლოდ მატჩის მომდევნო დღეს გადაინაცვლებს.

ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა და სამწვრთნელო შტაბი კი გერმანიაში 24 მაისს ჩავა სლოვაკეთიდან, სადაც 19-23 მაისს 19-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ელიტ-რაუნდის მატჩები ელის.

რაც შეეხებათ ფეხბურთელებს: ევროპაში მოთამაშე ჩვენი ლეგიონერები გერმანიაშივე შეუერთდებიან გუნდს, „რუსები“, „უკრაინელები“, და საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე მენაკრებენი კი გერმანიაში 24-ში თბილისი-კიოლნის რეისით გაემგზავრებიან.

გიორგი ნოზაძე

საქართველოს ტელეკომი

TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე **25** თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში **12** თეთრად დროის
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით) წამობრივი

აკრეფვის წესი: ალრიცხვა

მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

სიახლე ჯეოსელისგან ჯეო-მიქსი!

GEO MIX *123#
ჯეო მიქსი

აკრიფეთ

*123*9# YES

და
მომენტალურად
დაადგინეთ

ფეხბურთის
საფეხბურთო
ფეხბურთის ანგარიშები

SCORE LIVE

wap.geocell.com.ge

ბადრი ჯიმშელაძის ფოტო

მეკარეები: 1. ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი), 12. რევაზ თევდორაძე (თბილისი);

მცველები: 2. გულვერდ თომაშვილი (დინამო), 3. გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), 8. დავით მჭედლიშვილი (ამერი), 13. ზურაბ გვაძაბია (ამერი), 15. გიორგი კვანტალიანი (დინამო), 17. ლერი ხოხონიშვილი (თბილისი);

ნახევარმცველები: 4. ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი), 5. გიორგი განუგრავა (ზესტაფონი), 6. სანდრო კობახიძე (დინამო), 7. მირზა ბჟალავა (ზესტაფონი), 11. ირაკლი ჩირიკაშვილი (დინამო), 14. გიორგი კახელიშვილი (ლოკომოტივი), 16. ზურაბ მაილაშვილი (გურჯაანი);

თავდამსხმელები: 9. ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), 10. რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), 18. ვახტანგ კვარაცხელია (თბილისი).

ჰაინც ტოპმიოლერის რიცხვთა თეორია

გერმანელებს სლოვაკეთში პოდოლსკიც მიჰყავთ

„სამწუხაროდ, მხოლოდ 18 მოთამაშე მიმყავს სლოვაკეთში. ასეთია ლიმიტი, რაც, ზოგადად, ცუდია. ჩვენ ყველაზე ახალგაზრდული ნაკრები გვეყოლება ტურნირზე, რადგან მხოლოდ ხუთი ფეხბურთელია 1987 წელს დაბადებული, დანარჩენები ერთი ან ორი წლით უმცროსები არიან. და მაინც, მხოლოდ მოგებას და ფინალურ ეტაპზე გასვლას ვისახავთ მიზნად, თავდაჯერებულები ვართ“ — ეს სიტყვები წაიმძღვარა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა ჰაინც ტოპმიოლერმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

გეცოდინებათ, ქართველ 19-წლამდელებს 19 მაისიდან სლოვაკეთში 2008 წლის ევროჩემპიონატის ელიტ-რაუნდი ეწყებათ, სადაც მასპინძელთა გარდა, თურქეთისა და ირლანდიის ნაკრებები ეყოლებათ მეტოქეებად. ამ ოთხეულიდან მხოლოდ გამარჯვებული გააღწევს რვაგუნდა ფინალურ ეტაპზე და ჰაინც ტოპმიოლერმა ისიც მშვენივრად იცის, რომ იოლი გასეირნება არ ელის.

მატჩების კალენდარი ადრეც გაცნობეთ. შეგახსენებთ, რომ ჯგუფის ექვსივე მატჩი თბილისის დროით 13 საათზე დაიწყება.

19 მაისი
საქართველო — თურქეთი
ირლანდია — სლოვაკეთი
21 მაისი
საქართველო — სლოვაკეთი
თურქეთი — ირლანდია
23 მაისი
საქართველო — ირლანდია
თურქეთი — სლოვაკეთი

ჩვენი 19-წლამდელები 15 მაისს გამთენიისას 4 საათზე გაფრინდებიან სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში და ტურნირის დაწყებამდე იქ ივარჯიშებენ, თორემ თბილისში მოსამზადებელი ეტაპის გავლა ვერ ესწრება. 12-13 მაისს ნაკრების იმ 6 მოთამაშეს დაიგულებს უფროსი ტოპმიოლერი, რომლებსაც სათასო ფინალი ან პლეი ოფის შეხვედრა არ აქვს სათამაშო. გუნდი 14 მაისს საღამოს შეიკრიბება, მეკარე ნუკრი რევიშვილი კი 16-ში ბრატისლავაში ჩააკითხავს ნაკრებს — საქმე ისაა, რომ რევიშვილის „რუბინს“ „ზენიტთან“ უწევს სტუმრად მატჩი და თბილისში ჩამოსვლას ვერ ახერხებს.

ახლა კი ჰაინც ტოპმიოლერის პრესკონფერენციაც, სადაც სასლოვაკეთო შემადგენლობაზე, მეტოქეების სიძლიერეზე, შანსებსა და პრობლემებზე იყო საუბარი...

— როგორც იცით, 19-წლამდელთა ნაკრებმა პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი ესტონეთში გაიარა, სადაც 3 მატჩში 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ჩვენმა მეტოქეებმა — თურქეთმა 5 ქულა აიღო, სლოვაკეთმა 7, ხოლო ირლანდიელებმა 9 ქულით დაასრულეს ციკლი. მე 12 აპრილს თურქეთში ვიყავი, სადაც მათი 19-წლამდელების თამაშს ვუყურე იტალიელ თანატოლებთან — თურქეთი ძალიან ძლიერია, ის მატჩი დიდი ანგარიშით მოიგო.

— სლოვაკეთისა და ირლანდიის თამაშების ვიდეოფირს თუ ნახავთ?

— ჩემთან ერთად სლოვაკეთში კლაუს ტოპმიოლერი და რალფ მინგეც იქნებიან. როგორც იცით, ჯგუფის მატჩები თითოეულ ტურში ერთდროულადაა და სწორედ მინგე და ჩემი ძმა მომაწვდიან მათზე ინფორმაციას.

— ჯგუფს თუ ჰყავს გამოკვეთილი ფავორიტი და ჩვენს შანსებზე რას იტყოდით?

— ერთი კონკრეტული ფავორიტის დასახელება მიჭირს. ჩვენ თავდაჯერებულები მივდივართ, შეტევა გვინდა და მოგებაზე ვითამაშებთ. სამწუხაროდ, მხოლოდ 18 ფეხბურთელი მიმყავს, არადა, მსოფლიოს ჩემპიონატის მსგავსად, წესით, აქაც 23 კაცის წაყვანა უნდა იყოს შესაძლებელი. გადატვირთული კალენდარია, ექვს დღეში სამი მატჩი გვიწევს, თანაც ახალგაზრდულ ასაკში დაღლის ალბათობაც დიდია.

— ნაკრებში სრულიად ახალი სახეა „გურჯაანის“ ნახევარმცველი ზურაბ მაილაშვილი. მასზე რას იტყვით?

— წინა კვირას კახეთის რეგიონში მოვაწყვეთ 17, 18 და 19-წლამდელთა ორმხრივი, დასაკვირვებელი თამაშები. მაილაშვილი მომეწონა, მერე იგი 25 აპრილს თბილისში 19-წლამდელთა ორმხრივ მატჩშიც გავსინჯე და კვლავ კარგად წარმოაჩინა თავი — ამაში სხვა მწვრთნელებიც დამემოწმნენ. საერთოდ, ტალანტების ნაკადი პერიფერიებიდან უფრო მოდის. მინდა, ღარიბი ოჯახის შვილებსაც მიეცეთ შანსი და, ბუნებრივია, სხვა რეგიონებშიც მოვაწყობ დასაკვირვებელ მატჩებს. სხვათა შორის, მაილაშვილის „გურჯაანიდან“ გადაყვანის სურვილი უკვე გამოთქვეს სხვა კლუბებმა.

— მეკარე ნუკრი რევიშვილი „რუბინში“ უთამაშებელია...

— ეს ჩვენი თავსატეხია, რევიშვილი 21-წლამდელთა და ეროვნული ნაკრების მეკარეცაა. ამის თაობაზე დღესაც ვილაპარაკეთ მე და კლაუსმა. სამწუხარო რეალობა ასეთია: საქართველოში ფეხბურთელებს მწირი ფინანსები აქვთ და როგორც კი უცხოეთიდან ფულს დაინახავენ, ცდუნებას ვერ უძლებენ. რევიშვილიც ნაადრევად წავიდა უცხოეთში და, სამწუხაროდ, ორი-სამი წელი თუ კიდევ სათადარიგოთა სკამზე იჯდება, მისი კარიერა მთლად აირევა.

...ისევ მაილაშვილზე ვიტყვი და ლუკაშ პოდოლსკის მაგალითს მოვიშველიებ: პოდოლსკი რამდენიმე წელი არ თამაშობდა, როცა ბოხუმში შენიშნა ერთმა მწვრთნელმა და დღეს იგი უკვე გერმანიის ყველა კლუბს სურს. თუ ფეხბურთელში რაღაც სხვანაირ ნიჭს ხედავ, რატომ არ უნდა მისცე მას შანსი?! და კიდევ, მეც, კლაუსიც, რალფ მინგეც და ჰერბერტ ცანკერიც ერთი გუნდი და აბსოლუტურად თავისუფლები ვართ ფეხბურთელების შერჩევაში.

— ნაკრებში უმეტესად 1988 წელს დაბადებულები გყავთ, მეტოქეებს კი ალბათ ერთი წლით უფროსები ეყოლებათ...

— 1987 წელს დაბადებულთა დიდი ნაკადი საქართველოში არაა, ეს განსაკუთრებით დაცვით ხაზს ეხება. პირველმა საკვალიფიკაციო ეტაპმაც მეტწილად 1988 წელს დაბადებულების კისერზე გადაიარა, რამდენიმე ნიჭიერი ბიჭი კი 1989-წლიანებშიცაა და ორი მათგანი მიგვყავს კიდეც სლოვაკეთში — ალექსი ბენაშვილი და გიორგი კვანტალიანი.

...ერთიცაა, 19 და 21-წლამდელთა ნაკრებებში ყველა ქართველ ფეხბურთელს მშვენიერი ტექნიკა აქვს, ამ მხრივ გერმანელები, ჰოლანდიელები და ფრანგებიც კი ვერ შეედრებიან. ქართველების უარყოფითი მხარე კი ორთაბრძოლებში სისუსტეა და ამის მიზეზი ისედაც ყველამ იცით...

ილია ნანობაჯვილი

პლეი ოფი: პრის წყვილები და რიცხვები

საქართველოს მე-17 ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგა კი ჩამთავრდა, მაგრამ ამით სეზონი არ დასრულებულა — უმაღლესი ლიგის მე-13-მე-14 ადგილზე გასულმა გუნდებმა უმაღლესში დასარჩენად პირველ ლიგის იმ გუნდებთან უნდა გაარკვიონ საქმე, პირველ-მეორე ადგილზე რომ ვერ გავიდნენ, მაგრამ უმაღლეს ლიგაში გადასვლის შანსი მაინც აქვთ.

მოკლედ, პლეი ოფში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ცხინვალი“ — „გაგრა“ და „თბილისი“ — „მეშაქრე“. წყვილში გამარჯვებულს ერთი მატჩი გამოავლენს და შეხვედრები ნეიტრალურ სტადიონებზე გაიმართება.

„თბილისი“ და „მეშაქრე“ 14 მაისს ითამაშებენ და შეხვედრა, სავარაუდოდ, ბოლნისში გაიმართება. „ცხინვალი“ და „გაგრა“ კი 15 მაისს თბილისში, ან გლდანში „ამერის“ სტადიონზე, ან „შევარდენზე“ ითამაშებენ.

ასეთია წინასწარი მონახაზი და ყველაფერი ზუსტად დღეს დამტკიცდება. დღესვე დასახელდება ამ მატჩების მსაჯებიც.

ნიკა ჯორჯაძე

საქართველოს პირველი ლიგა 17 ჩემპიონატი
მეორე ნრე

XXXIV ტური

10 მაისი, ოთხშაბათი		
მესხეთი	3:0	ზესტაფონი 2
მეშაქრე	1:0	მერანი
რუსთავი 2	2:2	გაგრა
გურია	5:3	ვიტ ჯორჯია 2
მაღაროელი	1:0	თბილისი 2
იმედი	1:0	საგარეჯო
ამერი 2	2:3	დინამო 2
ზუგდიდი	2:3	ჩიხურა
მეშახტე	3:0	ლიახვი

ჩიხურა	34	24	6	4	87:34	78
მერანი	34	23	5	6	59:27	74
გაგრა	34	19	11	4	49:22	68
დინამო 2	34	18	8	8	57:27	62
მეშაქრე	34	18	5	11	46:32	59
მესხეთი	34	17	6	11	50:30	57
ამერი 2	34	14	9	11	40:29	51
რუსთავი	34	13	10	11	50:37	49
გურია	34	14	5	15	50:47	47
ვიტ ჯორჯია 2	34	13	6	15	43:45	45
თბილისი 2	34	12	8	14	34:40	44
ზუგდიდი	34	12	7	15	24:33	43
მეშახტე	34	11	9	14	38:40	42
მაღაროელი	34	10	7	17	38:56	37
ზესტაფონი 2	34	9	9	16	23:44	36
საგარეჯო	34	7	10	17	28:44	31
იმედი	34	6	2	26	22:85	20
ლიახვი	34	4	1	29	24:90	13

ამერი — ზესტაფონი: ბილეთები დღეიდან

13 მაისს ქართულ საფეხბურთო სამყაროს მეტისმეტად დატვირთული დღე ექნება, რომელიც 20 საათზე „მიხეილ მესხის“ სტადიონზე გასამართი ეროვნული თასის ფინალით დაგვირგვინდება: ერთმანეთის პირისპირ თბილისის „ამერი“ და „ზესტაფონი“ დადგებიან. პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრესსამსახურის ცნობით, მატჩმა უდიდესი აჟიოტაჟი გამოიწვია და ყოველდღიურად უამრავი ადამიანი ინტერესდება, როდიდან გაიყიდება მატჩის ბილეთები. თავდაპირველ ვადად 12 მაისი იყო დათქმული, თუმცა გულშემატკივართა ინტერესის გათვალისწინებით, პროფლიგამ გადაწყვეტილება შეცვალა და უკვე დღეს, „მიხეილ მესხის“ სალაროებში ბილეთების გაყიდვა დაიწყება. აღმოსავლეთ და დასავლეთ ტრიბუნებზე ბილეთის ფასი 3, ხოლო ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრიბუნებზე 2 ლარია.

მატჩის წინა დღეს „მიხეილ მესხის“ საპრესკონფერენციო დარბაზში გაიმართება გიორგი ჩიხრაძისა და კობა ჟორჟიკაშვილის ერთობლივი წინასამატჩო პრესკონფერენცია.

გიორგი ნოზაძე

ერთად გავიხსენოთ
თბილისის “დინამოს”
დიდი გამარჯვება!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და
საქართველოს ეროვნული მუზეუმი გეპატიჟებათ
11-14 მაისს ქარვასლაში 1981 წლის 13 მაისის
25 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე

ხალხო, ჩავიდგათ ჯიგარი, აგერ, შაბათი და აგერ, ფინალი!

თხოვნა პატრულს: სტადიონის ღობეზე გადამძვრალ გოჩა თანდარაშვილს თუ დაინახავთ, ნუ დაიჭერთ!

— რამდენიმე დღის წინ ცხონებულ დავით ყიფიანზე ვუყურებდი გადაცემას. ძალიან ემოციური კადრები იყო. როგორ დახვდნენ დიუსელდორფიდან დაბრუნებულ თბილისის „დინამოს“ აეროპორტში, მეორე დღეს „დინამოს“ სტადიონზე ტევა არ იყო, მაგრამ ათი ათასობით კაციდან ერთიც არ გასულა მინდორზე და ბალახზე ფეხი არ დაუდგამს. წარმოიდგინეთ, მაშინ ქომაგობის როგორი კულტურა იყო. ერთ გოჯა მინდორსაც კი უფრთხილდებოდნენ. ამ კადრებს რომ ვუყურებდი, ცრემლი მომადგა, ჩემმა მეუღლემ შემომხედა და მკითხა, რა გატირებსო. ძნელია ახსნა... ეს სულში უნდა გქონდეს გამჯდარი — ეს ამბავი გოჩა თანდარაშვილმა მოგვითხრო, ინტერვიუსთვის შინ რომ ვესტუმრეთ.

შაბათის და ცოცხალი შოუს გამორჩეული სახე **გოჩა თანდარაშვილი** სპორტის დიდი ქომაგია. ფეხბურთია, კალათბურთია, რაგბია თუ ნებისმიერი ჭიდაობა, თანდარაშვილი იქ არის. სანამ შოუმენობას დაიწყებდა, სპორტული ჟურნალისტიც იყო. შარშანდელ საფეხბურთო თასის ფინალში კი მან და „N შოუს“ წამყვანმა ნიკა ქავთარაძემ აიყოლიეს ტრიბუნები: გოჩა თბილისის „ლოკომოტივს“ ქომაგობდა, ნიკა — „ზესტაფონს“...

— საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს თითქმის არ აცდენ. ასეთი საინტერესოა ჩვენი ჩემპიონატი?

— იმდენად საინტერესო არაა, რამდენადაც იმსახურებს, მაგრამ ვინც სტადიონზე დადის, ჯიგარია. ჩვენ თუ არ მივხედეთ ჩვენს ფეხბურთს და თუ ქართველმა არ უქომაგა ქართველს, რუანდიდან აქ არავინ ჩამოვა. ვისაც ქართული ფეხბურთი უყვარს, ის ვალდებულია, ჩვენი ჩემპიონატის მატჩებზე იაროს. მე ასე მწამს და რა ვქნა...

— გასაგებია, მაგრამ ძნელად, სეზონში ერთი-ორი საცქერლად საამო მატჩი გამოერიოს...

— ეს ყველას პრობლემაა. რა თქმა უნდა, ძირითადი დამნაშავე ისევ და ისევ კლუბების ხელმძღვანელები არიან. შინაურ ფეხბურთში მეტი ფული უნდა ჩაიდოს. ამით დონეც აიწევს და საყურებელი მატჩებიც გამოერევა. ბევრჯერ მინახავს, სტადიონზე მისული კაცი მთელი თამაში მზესუმზირას რომ ჭამს ან მეგობარს ელაპარაკება და მატჩს არ უყურებს. ქომაგზეც ბევრია დამოკიდებული. როდესაც სტადიონი ასე თუ ისე ივსება, ფეხბურთელიც სხვა სამყაროში გრძნობს თავს და ორმაგად მონდომებულია. ცარიელი ტრიბუნის წინ ფეხბურთელი ცუდად ითამაშებს. ყველაფრის თავი და თავი მაინც უფულობაა. ფეხბურთელები გაქცევაზე რომ არიან, ესეც გასაგებია. თუ პიტერ შილტონი არ ხარ, დიდი-დიდი, ოცი წელი ითამაშო, მერე კი ფეხბურთელობისას ნაგროვებით უნდა იცხოვრო. რომ ხედავენ, აქაურობის საშველი არაა, წავლენ, აბა, რას იზამენ. ყველა მწვრთნელი ხომ არ გახდება?! თანაც საქართველოშია ისე საქმე, რომ ხვალ შეიძლება გოჩა თანდარაშვილს შესთავაზონ რომელიმე გუნდის მწვრთნელობა. ეგეთი მწვრთნელები რომ გვყავს, იმიტომ წაგვივიდა შარშან „კარგად“ საქმე.

— ათგუნდა ჩემპიონატი სჯობდა თუ თექვსმეტგუნდა, როგორც ახლაა?

— რა თქმა უნდა, ათგუნდა. ბოლოს და ბოლოს, ინტრიგაც მეტი იყო. საქართველოს ჩემპიონატისთვის თექვსმეტი გუნდი მეტისმეტია. ცხადია, კარგია, როცა უმაღლეს ლიგაში „ცხინვალი“, „სოხუმი“, „კახეთი“ გყავს, მაგრამ „კახეთის“ გარდა სხვებმა რომ ვერ გაამართლეს, ფაქტია. არ იყვნენ მზად უმაღლესი ლიგისთვის. ჯობს; იყოს ათგუნდა და „სოხუმის“, „სპარტაკის“ ან „ცხინვალის“ ფეხბურთელები რომელიმე შედარებით სოლიდური გუნდის სათადარიგო მოთამაშეები იყვნენ. ამით კონკურენციაც იმატებს, ინტერესიც, დონეც და ქომაგიც ივლის სტადიონზე. ისე, საქართველოსთვის კოტტა, ათი ათასიანი სტადიონები ზედგამოჭრილია. არ ვართ ისეთი ქვეყანა, საქართველოს ჩემპიონატზე 35 და მეტათასიანი სტადიონები შეივსოს.

— ისე, რაიონებში ქომაგი უფრო მრავლადაა, მაგრამ იქ მოედანზე საგნების სროლა და ფეხბურთელების ამოჩემებული გინებაა ხშირი...

— მზად ვარ, მაგ თემაზე „ლივერპულის“ ნებისმიერ ფანთან ერთად სემინარები ჩავატარო. მაგას არაკაცები აკეთებენ. სტადიონზე გინებას ვერავის დაუშლი, მაგრამ არ შეიძლება, ფეხბურთელს აგინო. „ლივერპულის“ ფანობა ჩემთვის მაგალითია. იგებს თუ აგებს „ლივერპული“, ფანები მღერიან, კი არ იგინებიან. ან ქვის თუ სხვა საგნების სროლა რაღა უბედურებაა?! ამას ყველა უნდა ვებრძოლოთ.

— საქართველოს ჩემპიონატში რომელ გუნდს ქომაგობ?

— „დინამო“ „დინამოა“, ამ კლუბს ჩემს გულში გამორჩეული ადგილი უჭირავს და ეს ბუნებრივია. დარწმუნებული ვარ, ჩემი შვილიც და შვილიშვილიც „დინამოს“ გულშემატკივრები იქნებიან. სულ სხვა ქარიზმაა... ბოლნისელი ვარ და „სიონსაც“ ვქომაგობ. როგორც იქნა, ჩემპიონიც გახდა, ბოლო წლების მიხედვით ბოლნისელები ამას იმსახურებდნენ. სხვათა შორის, პირველი პერიფერიული კლუბია, საქართველოს ჩემპიონატი რომ მოიგო. თბილისის „ლოკომოტივსაც“ ვქომაგობ. შარშანდელი თასის ფინალი მე და ნიკა ქავთარაძეს მიგვყავდა და მაშინ დავუმეგობრდი ლოკომოტიველებს. გიორგი და როინ ონიანები, გიორგი სეთურიძე, გიორგი ჩივაძე, გიორგი ყიფიანი ჩემი მეგობრები გახდნენ. მართალია, ახლა „ლოკომოტივში“ მხოლოდ ჩივაძე და ყიფიანი არიან, მაგრამ ამ გუნდს მაინც ვქომაგობ. თბილისის „ამერს“ გამორჩეულად ვგულშემატკივრობ. ვიცი, რომ „ამერის“ ხელმძღვანელობა არაფერს აკლებს გუნდს და ამით ქართული ფეხბურთის საქმესაც აკეთებს. ასეთი ხალხი დასაფასებელია და გვერდში დგომა უნდა. „ამერშიც“ მყავს მეგობრები — სულიკო დავითაშვილი, გიორგი დავითნიძე, რატი წინამძღვრიშვილი... სხვათა შორის, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ინტერნეტთამაშსაც ვთამაშობ. ორი გუნდი მყავს. იქ ისეა, რომ ვისაც სეზონის დასაწყისში დააყენებ მწვრთნელად, რაც უნდა მოხდეს, სეზონის ბოლომდე ველარ შეცვლი. ავდექი და ორ მწვრთნელს ვენდე. ერთ გუნდში „სიონის“ აწ ყოფილი თავკაცი ხვიჩა ქასრაშვილი დავაყენე, მეორეში კი „ამერის“ მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე. ჩიხრაძემ გამიმართლა.

— წლევანდელ სეზონში რომელი გუნდი მიგაჩნია აღმოჩენად და პირიქით, რომელმა გაგაწბილა?

— თელავის „კახეთმა“ უმაღლეს ლიგაში დებიუტი არ ჩააგდო. არ მეგონა, თუ ადგილს შეინარჩუნებდა, მაგრამ შეძლებისდაგვარად სტაბილურად ითამაშა და ღირსეულად დარჩა ქართულ ელიტაში. მეორე წრის „ბათუმი“ სიურპრიზი იყო. იმედი კი ქუთაისის „ტორპედომ“ და მეორე წრის თბილისის „ლოკომოტივმა“ გამიცრუეს. „ლოკომოტივი“ საინტერესო გუნდი იყო, მაგრამ დაიშალა და... „ტორპედოს“ კი ისეთი ტრადიციები აქვს, რომ არ უნდა გაუჭირდეს გუნდის გაკეთება, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. „ამერისგან“ მეტს ველოდი. ვფიქრობდი, რომ ჩემპიონობის კანდიდატი იყო. თუმც არა უშავს, თასის ფინალში ხომ გავიდა.

— თასის ფინალში ვის ქომაგობ, „ამერს“ თუ „ზესტაფონს“?

— „ამერს“. ლიხსაქეთელი კაცი ვარ და თბილისელებს ვქომაგობ, ძალიან მინდა და მჯერა, რომ თასი „ამერს“ დარჩება. აგერ, თავადაც ხედავთ, სახლში კალენდარსა და მეუღლის პორტრეტს შორის „ამერის“ ვიმპელი მიკიდია.

— ბილეთის თადარიგი უკვე დაიჭირე?

— ჯერ არა, მაგრამ შევიძენ, რა თქმა უნდა. ისე კი, ბედნიერი ვიქნები, თუ ფინალის ბილეთს ვერ ვიშოვი. თან რა კარგი იქნება, უბილეთო გოჩა თანდარაშვილს ღობეზე გადაპარვისას რომ დაიჭერენ! ვთხოვ ყველას, ვისაც ქართული ფეხბურთი უყვარს, თბილისელსაც და ზესტაფონელსაც, მოვიდეს სტადიონზე და თავის გუნდს კაცურად უქომაგოს. ბოლოს და ბოლოს, ფინალი 13 მაისსაა, ეს თარიღი კი გამორჩეულია ქართული ფეხბურთის ისტორიაში.

გაჩო სვანიძე

დღეს თბილისში, ფილარმონიის დარბაზში რეჟისორ ლაშა ონიანის შოუ „ჯორჯიან ენერჯი“ გაიმართება. ამ წარმოდგენას სპორტთან და უშუალოდ ფეხბურთან რა კავშირი აქვს, ვერ გეტყვით, მაგრამ 40 წლის რეჟისორ ლაშა ონიანს რამდენჯერმე დაუდგამს წარმოდგენა საფეხბურთო ღონისძიებებისთვის — შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ სტამბოლში სწორედ ონიანის შოუ გაიმართა. მასთან საუბარიც აქედან დავიწყეთ...

ჩემპიონთა ლიგის ფინალი კვლავ ონიანის მიმოდრამით დაიწყება

ბადრი კეთილაძის ფოტო

— სტამბოლში გასამართი შოუ გერმანიაში დავდგით, გერმანიაში გაუკეთდა ინსცენირება და მონტაჟი — წარმოდგენა 11-წუთიანი იყო.

— ბოლო დროს კიდევ რომელ სტადიონზე დაიდგა თქვენი შოუ?

— მიუნხენში „ალიანს არენას“ გახსნაზე. რამდენიმე წლის წინ გელზენკირხენში რომ გაიხსნა „აუფ შალკე“, იქაც ჩვენი შოუ გაიმართა.

— შოუს სცენარს თქვენ ქმნით?

— ჯერ დამკვეთის რეჟისორი კონცეპტუალურად გვაწვდის იდეას და ამ იდეას ჩვენ ვანხორციელებთ. მოკლედ, კონცეპტი მოდის დამკვეთისგან, ხოლო რეჟისურა ჩვენია.

— თქვენი რომელიმე შოუს სიუჟეტს ხომ ვერ მოგვიყვებოდით, მაგალითად, „ალიანს არენაზე“ გამართულს...

— „ალიანს არენა“ მსოფლიოში საუკეთესო სტადიონია და გვინდოდა, რომ ეს შოუშიც ასახულიყო. გერმანელი ოლიმპიური ჩემპიონიც კი მოვიწვიეთ შუბის ტყორცნაში და შუბი ვატყორცნინეთ. მოვიწვიეთ ესპანური ცეკვების საუკეთესო შემსრულებლებიც და მათ სპეციალური იატაკი დავუგეთ მოედანზე, სადაც სპეციალური მიკროფონები დავამონტაჟეთ. მოედნის ცენტრში აშენდა სცენა, სადაც საუკეთესო აკრობატები ასრულებდნენ ილეთებს. გვყავდა ცხენზე ამხედრებული მეფეც, რომელსაც შოუს ბოლოს მხარზე არწივი დააჯდა. სიდიადის, სიმძლავრის და გრანდიოზულობის სინთეზი — ეს იყო ამ შოუს კონცეპტი.

— კიდევ რომელი საფეხბურთო შოუები დაგიდგამთ?

— გერმანიის ეროვნული ნაკრების საშინაო მატჩებზე ბევრი შოუ მოვაწყეთ და აქცენტი იმაზე კეთდებოდა, თუ რომელი ქვეყნის მასპინძელი იყო გერმანია. შოუ დავდგით ლაიპციგშიც, კარსმომდგარი მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრაზე, ამ შოუს „ოლიმპია ბალი“ ერქვა და სიუჟეტში ასეთი აქცენტიც იყო — გერმანია მასპინძლობს იმ ქვეყნებსაც, მსოფლიოს ჩემპიონები რომ გამხდარან: ბრაზილია, არგენტინა, იტალია... სასცენო მოქმედებაც ქორეოგრაფიით კარგად იყო გაჯერებული.

— მეტწილად გერმანიაში საქმიანობთ და ალბათ ოფისიც იქ გაქვთ...

— ასეა, ჩვენი ბაზა ზაარბრიუკენშია, იქ გვაქვს ოფისი და სარეპეტიციო დარბაზი. 12 წელია, რაც ეს მიმოდრამის დასი არსებობს, რომელსაც „ქართული მიმოდრამის კომპანია“ ჰქვია.

— თუ გაქვთ საიმისო იდეა ან შემოთავაზება, რომ მსგავსი შოუ თბილისშიც დადგათ ეროვნულ ან მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე?

— არა მგონია, ამ ეტაპზე საქართველოში ასეთი შოუს მოწყობა შესაძლებელი იყოს. ეს ძალიან რთული იქნება და არა მხოლოდ ფინანსური ფაქტორის გამო — ეს კომპლექსურად იქნება შეუძლებელი.

— ფეხბურთი თუ გაძლევთ იმის საშუალებას, რომ თქვენი ყოველი შოუ იყოს ორიგინალური და არ ჰგავდეს უწინდელს?

— რა თქმა უნდა, ფეხბურთი ამის საშუალებას იძლევა, თუნდაც იმიტომ, რომ გერმანია შინ სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ნაკრებებს ხვდება. როცა ერთმანეთს ეროვნული გუნდები ხვდებიან, ეს ყოველთვის იძლევა მრავალფეროვნების საშუალებას.

— წლეულს ჩემპიონთა ლიგის ფინალი 17 მაისს პარიზში, „სტად დე ფრანსზე“ გაიმართება — როგორც შევიტყვეთ, უეფამ შოუ კვლავ თქვენ დაგიკვეთათ. შეგიძლიათ გვითხრათ, როგორი იქნება ამ შოუს სიუჟეტი თუ აქცენტი?

— კონტრაქტის თანხმად, სიუჟეტის მოყოლის უფლება არ მაქვს, გეტყვით მხოლოდ იმას, რომ შოუ უფრო ტექნიკური იქნება, ვიდრე ქორეოგრაფიული. უეფას ოთხი განსხვავებული სცენარი შეეთავაზეთ და ასეთი აირჩია.

დავით თავართქილაძე

ცქიტიშვილი გაჭრეს, ქინქლაძე რუსეთიდან ჭიდის

ლევან ცქიტიშვილი

ბუნდესლიგიდან არგავარდნისთვის მებრძოლი „ვოლფსბურგის“ 29 წლის შუახაზელმა ლევან ცქიტიშვილმა საზარდულის ოპერაცია გაიკეთა — ცქიტიშვილს, სავარაუდოდ, ორი თვე მოუწევს უქმობა. ლევანს კარგა ხანს აწუხებდა საზარდულის ტრავმა და თერაპიით მისი მორჩენა ვერ მოხერხდა.

დაახლოებით ერთი თვის წინ საზარდულმა შეაწუხა ყაზანის „რუბინის“ 31 წლის გამთამაშებელი გიორგი ქინქლაძეც. ქინქლაძე მოსკოვში წავიდა სამკურნალოდ, მომჯობინდა კიდეც და წინა კვირას გუნდთან ერთად ვარჯიშიც დაიწყო, მაგრამ საზარდულმა კვლავ შეაწუხა. ეს იმის ნიშნავს, რომ ქინქლაძე ეროვნულ ნაკრებში 24 და 31 მაისის ამხანაგურ მატჩებისთვის გამოძახებული არ უნდა იყოს. როგორც შევიტყვეთ, ქინქლაძე სამკურნალოდ ევროპაში აპირებს წასვლას.

ნიკა ჯორჯაძე

რობინიოს მწვრთნელმა საქართველო მოგვიწონა

ბრაზილიელი იატაკზეც ბრაზილიელია

„იბერია 2003“-მა უკვე მეექვსედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა ფუტზალში. ამ გუნდის უპირატესობა ფინალურ სერიაში „ნიკორასთანაც“ თვალსაჩინო იყო — 9:0 და 2:0. გამარჯვებაში ლომის წილი ოთხმა ბრაზილიელმა ლეგიონერმა და, რაც მთავარია, გუნდის ბრაზილიელმა მწვრთნელმა **მარსელო რიბეირუ დუ ამარალმა** დაიდეს. სეუ მარსელოს ფინალური სერიის დასრულების მერე ვესაუბრეთ...

— საიდან წამოვიდა საქართველოში თქვენი ჩამოყვანის იდეა?

— ფუტზალში ბელგიის ჩემპიონ „შარლერუას“ მწვრთნელი სერჟიო ბენატი ჩემი მეგობარია, ამ გუნდის ბრაზილიელ ფეხბურთელ რობინიოს კი თავად ვწვრთნიდი სამშობლოში მუშაობისას. „შარლერუას“ კარგი ურთიერთობა აქვს „იბერია 2003“-თან. ეს გუნდები შარშან პოლონეთში ჩემპიონთა თასის გათამაშების ჯგუფურ ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს. „იბერია 2003“-ის ხელმძღვანელები სწორედ „შარლერუას“ მეშვეობით დამიკავშირდნენ. მათი პირობები ჩემთვის მისაღები იყო და შემოთავაზებას დავთანხმდი.

— თან ოთხი თანამემამულეც იახლეთ, რაც ალბათ მუშაობასაც გიადვილებთ და ფეხბურთს მიღმა ცხოვრებასაც...

— ეს ფეხბურთელები მე და ბენატიმ შევარჩიეთ. მათგან ყველაზე გამოცდილი ელიას ანდრე თავის დროზე ბენატისთან ერთად თამაშობდა, 11 წლის წინ კი ბრაზილიის ჩემპიონი გახდა ფუტზალში.

— რას ელოდით და რა დაგხვდათ საქართველოში?

— აქამდე ქართულ ფეხბურთზე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ შოთა არველაძე, კახა კალაძე და ლევან კობიაშვილი ქართველები არიან. ახლა, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი ვიცი — ქართველი ფეხბურთელები ფიზიკურად საკმაოდ ძლიერები არიან, თუმცა სათამაშო წესრიგი და დისციპლინა აკლიათ. „იბერია 2003“-ის ჩემპიონობაში დიდი როლი ბრაზილიელებმა შეერტანეს, თუმცა აქაც ძალიან კარგი ჯგუფი დამხვდა გიორგი თოთლაძის, გოგა ალთუნაშვილის, ჯაბა ჯამბურიას და ვახო წერეთლის შემადგენლობით.

— ამ გუნდს თუ შეუძლია ჩემპიონთა თასის გათამაშებაში რაიმე წარმატების მიღწევა?

— უეფამ ფუტზალში ჩემპიონთა თასის გათამაშების ფორმატი შეცვალა და ახლა ჯგუფიდან ერთი კი არა, ორი გუნდი გადის. ეს, რა თქმა უნდა, ზრდის ჩვენს შანსებს. ახლა შევისვენებთ, ივნისიდან კი მზადებას დავიწყებთ, რათა სექტემბერში ღირსეულად გამოვიდეთ ჩემპიონთა თასის გათამაშებაში.

— საქართველოში ცხოვრებას უკვე შეეგუეთ?

— კონტრაქტი ნოემბერში მიმთავრდება, მაგრამ თუ ქართულ ფუტზალს დავჭირდები, კვლავაც მხარში დაგიდგებით. აქ უდიდესი სითბო და სიყვარული ვიგრძენი. მართლაც საოცარი ქვეყნის შვილები ხართ.

გიორგი ნოზაძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

ნათლია

ბერლუსკონიმ შევჩენკოს კონტრაქტის ნაცვლად ლონდონი დაუდო

„ჩელსი“ ანდრეი შევჩენკოსთან კონტრაქტის გაფორმებას კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა. გუშინ იტალიურ პრესაში გავრცელდა ცნობა, რომ „მილანმა“ შევჩენკოს კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი განუცხადა.

მიუხედავად უკრაინელის მრავალგზის განცხადებისა, მსურს, კარიერა „სან სიროზე“ დავასრულო, ჩანს, ანდრეის გეგმები მაინც შეიცვლება. როგორც აპენინური სპორტული მედია ამტკიცებს, შევჩენკომ „მილანის“ პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონისთან შეხვედრის შემდეგ გადაწყვიტა, „ჩელსიში“ გადასვლაზე სერიოზულად დაფიქრებულიყო.

29 წლის შევჩენკომ, რომელსაც თავის მომავალთან დაკავშირებით გარანტიის მიღება უნდოდა, აპენინურ გრანდთან ხელშეკრულების განახლება კიდევ ორი წლით მოითხოვა. ამჟამინდელი კონტრაქტის მიხედვით, უკრაინელს კვირაში 115 ათას გირვანქას უხდიან.

იტალიის ექსპრემიერი და „მილანის“ პატრონი ბერლუსკონი, შევას შვილის ჯორდანის ნათლიაა, თუმცა მან უკრაინელს ახალ შეთანხმებაზე უარი უთხრა.

საქმეთა ამნარი განვითარება „ჩელსის“ წისქვილზე ასხამს წყალს. ლონდონელები „მილანს“ შევჩენკოში 30 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ. რომან აბრამოვიჩი უკრაინელი ფორვარდის ფანია და აქამდე სულ მცირე, ორჯერ მაინც უცდია „სტემფორდ ბრიჯზე“ მისი გადაყვანა.

სულ რაღაც ერთი თვის წინ, როცა ჟოზე მაურინიუმ და პიტერ კინიონმა თავიანთი სატრანსფერო გეგმები გამოაცხადეს, შევჩენკოს შეძენის შანსები მინიმალური გახლდათ. ახლა სიტუაცია შეიცვალა და, როგორც „ჩელსის“ წარმომადგენლები ირწმუნებიან, კლუბი შევჩენკოს შეძენის მიზნით თავად ფეხბურთელთან, მის გუნდთან და აგენტებთან სრულფასოვანი მოლაპარაკებების წარმართვას აპირებს.

ჯერჯერობით უცნობია, „მილანი“ შევჩენკოს სანაცვლოდ ფულს მოითხოვს თუ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელს „ჩელსის“ რომელიმე მოთამაშეში გაუცვლის. ასეთი მოთამაშე შეიძლება იყოს უილიამ გალასი, რომლის შეძენაც იტალიელებს ძალიან უნდათ.

თუ უკრაინელის „სტემფორდ ბრიჯზე“ გადაბარგება ჩაიშალა, ლონდონელები, ალბათ, ისევ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ჰოლანდიელი თავდამსხმელის, რუუდ ვან ნისტელროის ყიდვას შეეცდებიან. ნისტელროი „იუნაიტედის“ თავკაც ფერგიუსონთან დალაგებული ურთიერთობით ვერ დაიკვეხნის, საამსეზონო პრემიერლიგის ბოლო მატჩიც გამოტოვა „ჩარლტონთან“ და საერთოდ, მისი მომავალი „ოლდ ტრეფორდს“ ნაკლებად უკავშირდება.

„ჩელსის“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ კლუბი ჰოლანდიელის შესაძლო ტრანსფერსაც განიხილავს. თუმცა, „სტემფორდ ბრიჯზე“ შიშობენ ვაითუ, ფერგიუსონმა ნისტელროი მეტოქე „ჩელსის“ კი არა, სხვა რომელიმე ინგლისურ გუნდს მიჰყიდოსო.

ლადო ხომერიკი

მართალია, არგენტინის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე ურთულეს ჯგუფში მოუწევს თამაში, მაგრამ ცნობილი თავდამსხმელი ერნან კრესპო დარწმუნებულია, რომ მას და მის თანამემამულეებს, ოთხი წლის წინანდელივით, ჯგუფიდან გავარდნა არ ემუქრებათ. გახსოვთ ოთხი წლის წინანდელი ამბავი? მაშინ, მუნდიალის ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხულ არგენტინელებს ჯგუფში ინგლისი, შვედეთი და ნიგერია ჰყავდათ და, როგორც მოგახსენეთ, ჩემპიონატს გამოეთიშნენ. ახლა, ისინი C ჯგუფში არიან და ჰოლანდიასთან, კოტ დივუართან და სერბეთ ჩერნიგორიასთან აქვთ გასარკვევი წამსვლელ-დამრჩენების ამბავი.

ერთი თამაში ბრაზილიასთან

თუკი ჩელსიმ მოიგო, რატომ არ უნდა მოიგოს არგენტინამ?!

„კვლავ ძნელი ჯგუფი გვერგო — თქვა მადრიდში, არგენტინის ეროვნული გუნდის შეკრებაზე ჩასულმა კრესპომ სააგენტო „როიტერთან“ ინტერვიუში — მაგრამ იმისათვის, რომ სირთულეებს თავი გავართვათ, საკმარისი გამოცდილება გვაქვს. ვგონებ, ოთხი წლის წინანდელთან შედარებით ახლა უფრო გაგვიჭირდება, რადგან ჯგუფში „კლასიკო“ არ გველის. ამგვარი დაპირისპირებები ხომ საგანგებო ენერგიასა და ყურადღების დაძაბვას ითხოვს, რის გამოც ფეხბურთელებს დანარჩენი შეხვედრებისთვის ძალთა შენახვა ძალიან უჭირთ. ერთი სიტყვით, მეორე ეტაპზე გასვლის დიდი შანსი გვაქვს და ამასთან, ისე გამოდის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს სხვა ფავორიტებზე ადრე ვიწყებთ და შესაბამისად პირველივე დღიდან მობილიზებულნი ვიქნებით“.

შემდეგ 30 წლის ფეხბურთელი წინა მუნდიალს იხსენებს და ამბობს, რომ ოთხი წლის წინანდელ მწარე გამოცდილებას, წესითა და რიგით, უარყოფითი კვალი არ უნდა დაეჩნია მისი გუნდისთვის.

„ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ფეხბურთის თამაში ხშირ შემთხვევაში თავმოყვარეობის საკითხია. გარდა ამისა გამართლებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ოთხი წლის წინ შვედეთთან უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ გოლი ვერ შევაგდეთ და მსოფლიოს ჩემპიონატს გამოვეთიშეთ. რა იყო ეს? ჩვენთვის უიღბლო დღე და მეტი არაფერი. ასე და ამგვარად, ჩვენ ბრძოლისთვის მზად ვართ და მსოფლიოს ჩემპიონობას ვაპირებთ, მაგრამ ვიცით, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება. არ დაგვავიწყდეს, რომ ჩვიდმეტი მუნდიალიდან არგენტინა მხოლოდ ორჯერ იყო ჩემპიონი, ეს სტატისტიკა კი იმას მეტყველებს, რომ მსოფლიოს პირველობაზე გამარჯვება ურთულესი საქმეა“.

ილაპარაკო მოახლოებულ მსოფლიო ჩემპიონატზე და არაფერი თქვა ბრაზილიის ნაკრებზე, წარმოუდგენელია. ცხადია ამ თემას ვერც კრესპომ და „როიტერის“ კორესპონდენტმა აუარეს გვერდი.

„ბრაზილიამ მოიგო ბოლო მუნდიალი, კოპა ამერიკა და კონფედერაციათა თასი. გარდა ამისა ბრაზილიელი ფეხბურთელები თავიანთ კლუბებში უმნიშვნელოვანესი ფიგურები არიან, მაგრამ თითომატჩიან დაპირისპირებებში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მაგალითად, შესარჩევ შეჯიბრებაში ჩვენ მათ 3:1 მოვუგეთ, მსოფლიოს ჩემპიონატი კი მთელ წელიწადს არ გრძელდება. იქ ერთი თამაშია გადამწყვეტი“.

არგენტინის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ბოლოს 20 წლის წინ, 1986 წელს მოიპოვა. მაშინ არგენტინელებს უდიდესი ვარსკვლავი, დიეგო მარადონა მიუძღოდათ წინ. და რა ხდება ახლა? ახლა მარადონას „ბარსელონას“ ყმაწვილკაცს ლეო მესის ადარებენ. ამ შედარებაზე კრესპო ხელებს შლის:

„ვინმეს მარადონასთან შედარება არგენტინული თვისებაა. აუცილებლად დიეგოს შემცვლელი უნდა ეძებნო, მაგრამ ის უნიკალური იყო. მე თუ მკითხავთ მარადონას ისეთი თვისებები ჰქონდა, რომ მისი მსგავსობა უბრალოდ შეუძლებელია. რაც შეეხება მესის, ის ამ შედარების გამო დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშაა, მაგრამ საბედნიეროდ ფეხბურთზე კონცენტრაციას მაინც ახერხებს. ის ახლა ჩემპიონთა ლიგის ფინალშია და, ცხადია, მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრებს დიდად გამოადგება“.

დაბოლოს, ერნან კრესპო „ჩელსის“ შემადგენლობაში ინგლისის ჩემპიონი გახდა.

„ამით ძალიან ვამაყობ — ამბობს ის — ინგლისში ცხოვრება მიჭირს, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ, რადგან დიდებულ შედეგს მივაღწიეთ, დიდებული ქომაგები და დიდებული თანაგუნდელები მყავს. საერთოდ, დიდებული თანაგუნდელები და ქომაგები, წარმატების წინაპირობაა. თან, როდესაც ადამიანი მოგებებს იწყებ, წარმატებები ერთიმეორეს წაეწყობა ხოლმე, ამიტომაც ვერ ვხვდები, რატომ არ უნდა ვფიქრობდე მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებაზე“?

პაპუნა კედია

მსოფლიოს თასი

გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

FIFA FUSSBALL-WELTMEISTERSCHAFT DEUTSCHLAND 2006

H ჯგუფი

ესპანეთი, უკრაინა, საუდეთი, ტუნისი

ერთ წელს მოგებული ორი მსოფლიო

ზედიზედ მეოთხედ ითამაშებს საუდის არაბეთი მსოფლიოს ჩემპიონატზე, დებიუტი კი 1994-ში ჰქონდა. მაშინ ამერიკაში არაბებს სულ ცოტა დააკლდათ ჯგუფიდან გასასვლელად, მაგრამ ისტორიაში მაინც შევიდნენ, რადგან ბელგიასთან მატჩში საედ ალ ოვაირანმა ფანტასტიკური გოლი გაიტანა. არაბმა მოედნის საკუთარი ნახევრიდან იარა, ბელგიელები მიყარ-მოყარა, მეტოქის საჯარიმოში შევარდა და შეაგდო. ეს გოლი მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიის ათ საუკეთესოში შევიდა. სულ კი საედ ალ ოვაირანს 50 მატჩში 24 გაუტანია. მიუხედავად ამისა, 1998-ის მუნდიალის შემდეგ ნაკრებიდან გააგდეს თანაგუნდელების გალანძღვის გამო.

გერმანიამდე კი საუდეთმა ღიღინ-ღიღინით იარა. პირველ საკვალიფიკაციო ჯგუფში ექვსივე შეხვედრა მოიგეს და მხოლოდ ერთი გოლი გაუშვეს. მომდევნო ეტაპიც წაუგებლად ჩაამთავრეს, უშუალო კონკურენტი სამხრეთ კორეა კი ორჯერვე დაამარცხეს. საუდეთს 2004-ის დასაწყისში ჰოლანდიელი ჯერარ ვან დერ ლემი წვრთნიდა, მაგრამ აზიის



მარკოს სეზარ დიას კასტრო ანუ მარკოს პაკეტა

თასზე ცუდი შედეგების გამო დაითხოვეს და გუნდი არგენტინელმა გაბრიელ კალდერონმა ჩაიბარა. სწორედ კალდერონის თავკაცობით მოიპოვა საუდეთმა გერმანიის საგზური. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზეც არაბები ასევე არგენტინელმა ხორხე სოლარიმ გაიყვანა. გაბრიელ კალდერონი კი წარმატების მიუხედავად მოხსნეს.

* * *

მწვრთნელი: მარკოს სეზარ დიას კასტრო, ცნობილი როგორც მარკოს პაკეტა, საუდის არაბეთის თავკაცად 2005-ის დეკემბერში დანიშნეს. 47 წლის ბრაზილიელი ერთადერთი მწვრთნელია მსოფლიოში, რომელსაც ერთ წელიწადში ორჯერ მოუგია მსოფლიოს ჩემპიონატი — პაკეტამ ეს 2003-ში მოახერხა, ბრაზილიის 17 და 20-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელობისას.

პაკეტას საფეხბურთო კარიერა 1973 წელს დაიწყო და ხუთი სეზონი რიო დე ჟანეიროს „ამერიკაში" გაატარა. შემდეგ „ვასკუ და გამაში" გადავიდა და ორი წელი იქ ითამაშა. მარკოს სეზარ დიას კასტროს „პაკეტა" სწორედ „ვასკუ და გამაში" შეარქვეს.

1987 წელს „ამერიკაში" მწვრთნელად მივიდა, საიდანაც საუდის არაბეთში გაეშურა და იქაური „შაბაბი" ჩაიბარა. ორი სეზონი გაატარა არაბეთში. მერე სამშობლოში, „ფლამენგოს" ახალგაზრდებთან მუშაობდა რამდენიმე თვე, მაგრამ კონფლიქტის გამო წავიდა, თუმც 1990-ში დაბრუნდა და 1998 წლამდე დარჩა. „ფლამენგოს" „ფლუმინენსე" მოჰყვა, მერე ისევ იყო „ფლას" ბავშვთა გუნდი.

ახალგაზრდებთან პაკეტამ საკმაო წარმატებებს მიაღწია. „ფლამენგოს" 17-წლამდელებს რიოს შტატის ჩემპიონობა (1994) მოაგებინა, გარდა ამისა, მოგებული აქვს სხვადასხვა ტურნირები სამხრეთ ამერიკაში.

შრომა დაუფასდა და ბრაზილიის 17 და 20-წლამდელთა ნაკრებები ჩააბარეს. 2001-ში მისმა გუნდებმა ბარსელონაში გამართულ ტურნირში იმარჯვეს, მომდევნო წელს კი საფრანგეთში, ტულონშიც პირველები გახდნენ. ამ ყველაფრის გვირგვინი კი 2003-ში მოგებული მსოფლიოს ჩემპიონატი იყო. ნაკრებს თავი 2004-ში დაანება, საუდის არაბეთის „ალ ჰილალმა" მიიწვია და პირველივე სეზონში პრინც ფაიზალ ბინ ფაჰადის თასს დაეპატრონა. ამას მოჰყვა კიდევ რამდენიმე ტრიუმფი სხვადასხვა ტურნირებში, რის გამოც საუდის არაბეთის ფეხბურთის შეიხებმა ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზეს და პაკეტაც დაყაბულდა.

* * *

საკვალიფიკაციო ეტაპის ვარსკვლავი: მეკარე მაბრუკ ზაიედი, რომელიც აზიაში პირველ ნომრად აღიარეს. მან შეცვალა ალ დეაია, ვისაც მსოფლიოს სამ (1994, 1998, 2002) ჩემპიონატზე უთამაშია. მაბრუკ ზაიედი ამჟამად „ალ იტიჰადშია" და ზაფხულში შესაძლოა რომელიმე ევროპულ კლუბში აღმოჩნდეს.

* * *

კაპიტანი, ახლანდელი ვარსკვლავი და ლეგენდა: ეჰიმის, მეწარმისა და ლიდერისა არ იყოს 34 წლის სამი ალ-ჯაბერი საუდეთისთვის ყველაფერია. 1990 წლიდან თამაშობს ნაკრებში და 150-ზე მეტჯერ მოურგია ეროვნული გუნდის მაისურა. ალ-ჯაბერის ანგარიშზე 42 გოლია. სწორედ მისი გოლით მოუგეს მაროკოს 1994 წლის მუნდიალზე და ეს იყო პირველი გოლი და პირველი გამარჯვება საუდეთისა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ალ-ჯაბერი ახლა „ალ-ჰილაში" თამაშობს, ერთი სეზონი კი (2000-2001) ინგლისურ „ვულვერჰემპტონში" გაატარა.

* * *

+ იმის გათვალისწინებით, რომ შესარჩევ 12 მატჩში ერთ გოლზე მეტი არ გაუშვით, ძლიერ რგოლად დაცვა და მეკარე შეგვიძლია ჩავთვალოთ და 0:8 (მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე გერმანიასთან ამ ანგარიშით წააგეს) ალბათ აღარ განმეორდება.

* * *

ევროპულ კლუბებში ამ ქვეყნიდან მხოლოდ ორ ფეხბურთელს უთამაშია და ნაკრების სისუსტეც ესაა, ანუ გამოცდილ ფეხბურთელთა ნაკლებობა.

* * *

აზრი: „საუდის არაბეთი გერმანიაში არ შერცხვება" — პიტერ ველაპანი, აზიის ფეხბურთის კონფედერაციის შეფი.

საუდეთის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

14 ივნისი	ტუნისი — საუდეთი	მიუნხენი
19 ივნისი	საუდეთი — უკრაინა	ჰამბურგი
23 ივნისი	საუდეთი — ესპანეთი	კაიზერსლაუტერნი

საუდეთის გზა ფინალური ეტაპისკენ

I საკვალიფიკაციო ეტაპი. VIII ჯგუფი

18.02.2004	საუდეთი — ინდონეზია	3:0
31.03.2004	შრი ლანკა — საუდეთი	0:1
09.06.2004	საუდეთი — თურქმენეთი	3:0
08.09.2004	თურქმენეთი — საუდეთი	0:1
12.10.2004	ინდონეზია — საუდეთი	1:3
17.11.2004	საუდეთი — შრი ლანკა	3:0

საბოლოო ცხრილი

საუდეთი	6	6	0	0	14:1	18
თურქმენეთი	6	2	1	3	8:10	7
ინდონეზია	6	2	1	3	8:12	7
შრი ლანკა	6	0	2	4	4:11	2

II საკვალიფიკაციო ეტაპი. A ჯგუფი

09.02.2005	უზბეკეთი — საუდეთი	1:1
25.03.2005	საუდეთი — სამხრეთ კორეა	2:0
30.03.2005	ქუვეითი — საუდეთი	0:0
03.06.2005	საუდეთი — ქუვეითი	3:0
08.06.2005	საუდეთი — უზბეკეთი	3:0
17.08.2005	სამხრეთ კორეა — საუდეთი	0:1

საბოლოო ცხრილი

საუდეთი	6	4	2	0	10:1	14
სამხრეთ კორეა	6	3	1	2	9:5	10
უზბეკეთი	6	1	2	3	7:11	5
ქუვეითი	6	1	1	4	4:13	4

მილიგანი და ბუჩამპი სიდნეის აეროპორტში

ოზეების სია

გუს ჰიდინკმა 15 მაისამდე აღარ დაიცადა და 23 ავსტრალიელი დაასახელა, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე წავლენ. ცოტა მოულოდნელი იყო განაცხადში სამი ახალგაზრდა ფეხბურთელის — ჯოშ კენედის, მაიკლ ბუჩამპისა და მარკ მილიგანის — მოხვედრა.

ნაკრების მესამე მეკარე, მარკ შვარცერისა და ჟელკო კალაჩის შემდეგ, შვედური „ჰამარბის“ ანტე კოვიჩი იქნება. ჰიდინკმა გამოიძახა შვეიცარიული „ბაზელის“ პლეიმეიკერი მილე სტერიოვსკიც, რომელსაც აქამდე არ ენდობოდა და არ ათამაშებდა ხოლმე. არადა, წინა მწვრთნელის, ფრენკ ფარინას დროს სტერიოვსკი ძირითად შემადგენლობაში იყო.

გამოცდილ მცველ ტონი ვიდმარს გული აწუხებს, რის გამოც ჰიდინკმა თანაშემწეებთან — იოჰან ნეესკენსთან და გრაჰამ არნოლდთან მოლაპარაკების შემდეგ 20 წლის მილიგანის გამოძახება გადაწყვიტა. ვთქვათ ისიც, რომ მილიგანი და ბუჩამპი ორად ორი ფეხბურთელია ნაკრებში, რომლებიც ერთ-ნულ ჩემპიონატში თამაშობენ.

„ეს დაუჯერებელია, ჯერაც სიზმარი მგონია. ოცნება მოულოდნელად ამიხდა და ძალიან მიხარია. ავსტრალიის ნაკრების ღირსების დაცვა ჩემთვის უდიდესი პატივი იქნება, მით უმეტეს, მსოფლიოს ჩემპიონატზე“ — თქვა მილიგანმა.

გრაჰამ არნოლდი: „ბოლო ექვსი თვის მანძილზე ყველა ლეგიონერს კარგად ვაკვირდებოდით და რთული არ ყოფილა იმ მოთამაშეების შერჩევა, რომლებიც სასურველ ფორმაში არიან და მუნდიალზე თამაშს იმსახურებენ“.

გიორგი კაკაბაძე

მეკარეები

მარკ შვარცერი	მიდლსბრო, ინგლისი
ჟელკო კალაჩი	მილანი, იტალია
ანტე კოვიჩი	ჰამარბი, შვედეთი

მცველები

ლუკას ნილი	ბლექბერნ როვერსი, ინგლისი
სტენ ლაზარიდისი	ბირმინგემ სიტი, ინგლისი
კრეიგ მური	ნიუკასლ იუნაიტედი, ინგლისი
ტონი პოპოვიჩი	კრისტალ პალასი, ინგლისი
მაიკლ ბუჩამპი	სენტრალ ქოსთ მარინერსი
მარკ მილიგანი	ფკ სიდნეი

ნახევარმცველები

მარკ ბრეშიანო	პარმა, იტალია
ტიმ ჩეჰილი	ევერტონი, ინგლისი
ჯეისონ კულინა	პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია
სკოტ ჩიპერფილდი	ბაზელი, შვეიცარია
ბრეტ ემერტონი	ბლექბერნ როვერსი, ინგლისი
ვინჩენცო გრელა	პარმა, იტალია
ჰარი კიუელი	ლივერპული, ინგლისი
იოსიპ სკოკო	უიგან ატლეტიკი, ინგლისი
ლუკ უილკშირი	ბრისტოლ სიტი, ინგლისი

თავდამსხმელები

ჯონ ალოიზი	ალავესი, ესპანეთი
ჯოშ კენედი	დინამო დრეზდენი, გერმანია
მილე სტერიოვსკი	ბაზელი, შვეიცარია
არჩი ტომპსონი	პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია
მარკ ვიდუკა	მიდლსბრო, ინგლისი

ნაკრებიდან ოლი ჰოპ!

გერმანიის ნაკრების მეკარე ოლივერ კანმა განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ სანაკრებო ფეხბურთს აუცილებლად დაანებებს თავს.

კანი მუნდიალის დღეებში 37 წლისა შესრულდება, თუმცა ასაკი ფეხბურთიდან სულ წასვლისკენ წამითაც არ უბიძგებს. ის ამბობს, ოომ ლეგენდარული იტალიელი მეკარის დინო ძოფის შედეგის გამეორებას ანუ 40 წლამდე თამაშს შეძლებს.

„ალბათ, ბევრი ფიქრობს, რომ 37 წლისა თამაშს თავს დავანებებ, მაგრამ, მერწმუნეთ, ფეხბურთიდან წასვლაზე არ ვფიქრობ — უთხრა კანმა გერმანულ „შპორტ ბილდს“ — ანდა, რატომ უნდა დავანებო თამაშს თავი თუკი ჩინებულად ვგრძნობ თავს და არც მოტივაცია მაკლია? სამი წლის წინ საქმეები დღევანდელივით კარგად არ მიმდიოდა და მაშინ ნამდვილად ვფიქრობდი წასვლაზე, მაგრამ განა გამორიცხულია მომავლში საუცხოო ფორმაში რომ შევიდე? ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მე 40 წლამდე მინდა ფეხბურთის თამაში. დინო ძოფი ხომ ამ ასაკში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და მეც მწამს, რომ თუ დროის მეტ ნაწილს ექიმებთან კი არა, სავარჯიშო მოედანზე გავატარებ, მიზანს მივაღწევ“.

მოგეხსენებათ, კანი მოახლოებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრების მწვრთნელ იურგენ კლინსმანს მეორე მეკარედ ჰყავს შეგულებული. კლინსმანმა ამ ეტაპზე მას „არსენალის“ კარის მცველი იენს ლემანი ამჯობინა.

კანის კონტრაქტს მიუნხენის „ბაიერნთან“ 2008 წლამდე აქვს ვადა და საერთო ვარაუდით ამ დროისთვის მას ჯერჯერობით გერმანელ 21-წლამდელთა გოლკიპერი მიხაელ რენსინგი შეცვლის.

პაპუნა კედია

ეკვადორის ნაკრების მწვრთნელმა ლუის ფერნანდო სუარესმა რჩეული 23 დაასახელა, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ. მათ შორისაა ვეტერანი ივან კავიედესი, ვინც რამდენჯერმე აუშარდა მწვრთნელს, მაგრამ სუარესი მაინც იახლებს გერმანიაში.

ივან კავიედესი

მეკარეები

ედვინ ვილაფუერტე	დეპორტივო კიტო
კრისტიან მორა	ლიგა დე კიტო
დამიან ლანსა	აუკასი

მცველები

ივან ურტადო	უგუნდოდ
ჯოვანი ესპინოზა	ლიგა დე კიტო
პოლ ამბროზი	ლიგა დე კიტო
ნეისერ რეასკო	ლიგა დე კიტო
ულისეს დე ლა კრუზი	ასტონ ვილა, ინგლისი
ხორხე გუაგუა	ელ ნასიონალი
ხოსე ლუის პერლასა	ოლმედო

ნახევარმცველები

მარლონ აიოვი	დეპორტივო კიტო
ედვინ ტენორიო	ბარსელონა
ედისონ მენდესი	ლიგა დე კიტო
პატრისიო ურუტია	ლიგა დე კიტო
კრისტიან ლარა	ელ ნასიონალი
სეგუნდო კასტილიო	ელ ნასიონალი
ანტონიო ვალენსია	უელვა, ესპანეთი
ლუის სარიტამა	დეპორტივო კიტო

თავდამსხმელები

ფელიქს ბორხა	ელ ნასიონალი
კრისტიან ბენიტესი	ელ ნასიონალი
ივან კავიედესი	არგენტინოს ხუნიორსი, არგენტინა
აუგუსტინ დელგადო	ლიგა დე კიტო
კარლოს ტენორიო	ალ საადი, ყატარი

ფეხბურთის რუკასთან ერთად

პორტუგალიურ „ბრაგას“ მომავალი ორი სეზონის მანძილზე ევროპალიგა ფერეირა უთავკაცებს. მან კარლოს ბრიტო შეცვალა, რომელიც ცოტა ხნის წინ გაათავისუფლეს. 49 წლის ფერეირა „ბრაგას“ ყოფილი ფეხბურთელია.

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ დაადასტურა, რომ 23-კაციან განაცხადში არ შეიყვანს აიმო დიანასა და კრისტიან ვიერის, რომლებსაც ტრავმა აქვთ და მუნდიალისთვის რომც მომჯობინდნენ, ფორმაში ვერ იქნებიან.

პორტუგალიური „ნასიონალი“ ახალ მწვრთნელს ეძებს. მანუელ მაჩალომ პოსტი თავის ნებით დატოვა, მიზეზად კი ოჯახური პრობლემები დაასახელა. თუმცა 50 წლის მაჩალომ მყისვე მიიღო რამდენიმე კლუბისგან წინადადება.

იტალიურ „პარმას“ მალე ეგებ ახალი მფლობელი ჰყავდეს. ბიზნესმენმა ტომაზო ჯირარდიმ დაადასტურა, რომ კლუბის შეძენა სურს. 31 წლის ჯირარდი უკვე ფლობს ერთ კლუბს, სამოყვარულო „კარპენედოლოს“, რომელიც აშკარა პროგრესს განიცდის.

ესპანური „სოსიედადის“ თავდამსხმელი ნიჰათ კაეჩი მომავალი სეზონიდან „ვილიარეალში“ ითამაშებს. პირინეული პრესის ცნობით, თურქი ახალ კლუბთან ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. შეთანხმების ფინანსური დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

იტალიურ „ემპოლის“ სურს, მომავალი სეზონიდან „ფიორენტინას“ „არტემიო ფრანკიზე“ ითამაშოს. ამის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ გუნდის ახლანდელი სტადიონი — „კარლო კასტელანი“ — მხოლოდ 19 487 მაყურებელს იტევს. „ემპოლის“ მფლობელმა ფაბრიციო კორსიმ აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს.

გერმანული „ლევერკუზენის“ ბულგარელ ფორვარდ დიმიტარ ბერბატოვით ლონდონური კლუბები, „არსენალი“ და „ტოტენჰემი“ არიან დაინტერესებულნი. „ფარმაცევტთა“ უფროსობა კი ამბობს, მსურველმა 10,7 მილიონი გირვანქა გადაიხადოს და ტრანსფერი შედგებაო.

იტალიური პრესის ცნობით, საცაა, „ინტერი“ პალერმოელ ფაბიო გროსოს შეიძენს. „ნეროაძურის“ მფლობელი მასიმო მორატი და „პალერმოს“ პატრონი მაურიციო ძამპარინი უკვე შეხვდნენ ერთმანეთს და მოლაპარაკებაც დაწყებულია. ამასობაში „ლივორნოს“ ფორვარდმა კრისტიანო ლუკარელიმ აღნიშნა, გავრცელებული ჭორები მომავალ სეზონში „ინტერში“ ჩემი გადასვლის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამებაო.

ჯირაუდო, კაპელო და მოჯი

უკასრავად, ქალბატონო, მაგრამ...

ხმაური, ხმაური და კიდევ ხმაური

ვინ მოთვლის, უკვე რამდენი წელიწადია მეტოქეები „იუვენტუსს“ მსაჯების მოქრთამვაში სდებენ ბრალს და აი, ბოლო სკანდალიც, რომელმაც ეს ჭორები კიდევ უფრო გააძლიერა: გასულ კვირაში იტალიურ გაზეთებში გამოქვეყნდა „ბებერი ქალბატონის“ დირექტორატის წევრებისა და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნების სატელეფონო საუბრები. კერძოდ, „იუვეს“ გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი ფედერაციის თანამშრომელ პიერლუჯი პაირეტოს, რომელიც თანამდებობის შესაბამისად თამაშებზე მსაჯებს ანაწილებდა, მისთვის სასურველ მსაჯებს ჰკარნახობდა. ეს ამბავი შარშან ამ დროს მოხდა, როდესაც „იუვენტუსი“ ოცდამერვედ გახდა იტალიის ჩემპიონი.

გამოქვეყნდა სხვა ადამიანთა საუბრებიც. „იუვეს“ კიდევ ერთი დირექტორი ანტონიო ჯირაუდო და ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი ინოჩენტო მაცინიც მსაჯებთან დაკავშირებით საუბრობდნენ.

ეს ჩანაწერები გაზეთების რედაქციებში ტურინის პროკურატურიდან მოხვდა. გაზეთებამდე, მარტში, პროკურატურამ ისინი ფეხბურთის ფედერაციას გაუგზავნა, მაგრამ ფედერაციამ, რატომღაც დუმილი ამჯობინა და მაშინვე გამოძიება არ დაიწყო.

ასე და ამგვარად, ჩანაწერები გამოქვეყნდა პრესაში და სკანდალიც აგორდა, რასაც შედეგად, ჯერჯერობით, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ფრანკო კარაროს თანამდებობიდან გადადგომა მოყვა. კარარომ თქვა, რომ ასეთ ვითარებაში, მითუფრო, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ და თან მაშინ, როდესაც იტალია 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობას აპირებს, მის თანამდებობაზე დარჩენას გადაგომა სჯობდა. ეს ნაბიჯი კარარომ საქმის ინტერესებით ახსნა:

„მთელ ამ ისტორიაში ჩემს ან ჩემი თანამშრომლების ცუდ ქცევაზე აბსოლუტურად არაფერი მიუთითებს, მაგრამ ის ამოცანები, რომლებიც იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ უახლოესი რამდენიმე თვის განმავლობაში უნდა გადაჭრას, იმდენად რთული და მნიშვნელოვანია, რომ ჯობს საქმეს აბსოლუტურად მათზე გადართული ადამიანი გაუძღვეს“.

ამასობაში მამა-შვილი მოჯები, ლუჩანო და ალესანდრო, ფეხბურთელთა სააგენტოს პატრონი, გამომძიებლებს ჰყავთ გაწურული. მამაშვილს, უფრო სწორად კი ვაჟის სააგენტოს იტალიაში ძალიან ბევრი ფეხბურთელი ჰყავს გაყიდული და ამიტომ, ძიებაში რომისა და ნეაპოლის პროკურატურაც კი არის ჩარეული. მერედა, ეჭვი მრავალმხრივია. საქმე ეხება არა მარტო თაღლითობას, არამედ ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარასაც კი.

ლუჩანო მოჯი „იუვენტუსში“ 12 წელიწადია რაც მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში „ბებერმა ქალბატონმა“ ექვსჯერ მოიგო იტალიის ჩემპიონის ტიტული.

ბოლოხანს, განსაკუთრებით ხშირად 1998 წლის გაზაფხულის ამბავს იგონებენ, როდესაც ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე „ინტერი“ ოთხი ქულით უსწრებდა „იუვენტუსს“. სწორედ ამ დროს შეხვდნენ მეტოქეები ერთმანეთს. „ბებერმა ქალბატონმა“ 1:0 გაიმარჯვა, მაგრამ მსაჯმა პიერო ჩეკარინიმ მარკ იულიანოს მიერ რონალდოს წაქცევისთვის პენალტი არ დანიშნა.

„დღევანდელ თამაშში ჩავდეთ ყველაფერი, არა თუ მთელი წლის ნამუშევარი, არამედ თუ გნებავთ მთელი კარიერაც, მაგრამ რად გინდა. მთელ მსოფლიოში გამოჩნდა ერთადერთი ადამიანი, ჩეკარინი, რომელმაც პენალტი ვერ დაინახა“ — თქვა „ინტერის“ პატრონმა — იმ წელიწადს ჩემპიონი „იუვენტუსი“ გახდა.

არც ორი წლის შემდგომი ამბის დავიწყება შეიძლება, როდესაც სკუდეტოს ერთმანეთს „იუვენტუსი“ და „ლაციო“ ეცილებოდნენ. იმ გაზაფხულზე „იუვესთვის“ ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გახლდათ შეხვედრა „პარმასთან“, რომელიც აუცილებლად უნდა მოეგო და ასეც მოიქცა. თუმცა იმ შეხვედრაში იყო ერთი დაუვიწყარი ეპიზოდი, როდესაც ტურინელები 1:0-ს იგებდნენ და პარმელთა მცველმა ფაბიო კანავარომ წესების სრული დაცვით გაიტანა გოლი, რომელიც მსაჯმა მასიმო დე სანკტისმა არ ჩათვალა. მოგეხსენებათ, კანავარო დღეს „იუვეში“ თამაშობს, თუმცა ამას მნიშვნელობა არ აქვს. იმ დღეს, „ლაციოს“ მაშინდელმა პრეზიდენტმა მასიმო კრანიოტიმ თავი მორალურ ჩემპიონად გამოაცხადა, რომაული გუნდის ქომაგები კი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის შენობასთან შეიკრიბნენ და აქცია გამართეს, მაგრამ ... საბოლოოდ მაინც „ლაციო“ გახდა ჩემპიონი, რადგან სულ ბოლო ტურში, პერუჯაში ისე იწვიმა და მოედანი ისე დატბორა, რომ „იუვენტუსმა“ ვერაფერი გააწყო, წაადგა და სკუდეტოც „ბიანკოჩელესტის“ გადაულოცა.

დიახ, ეს ყველაფერი იყო. ახლა კი ამბობენ, რომ „იუვესა“ და „ფიატის“ მეპატრონე, ანიელების ოჯახი თავიანთი საყვარელი გუნდის სახელის გაწმენდას აპირებენ და დღეს, მოჯისა და ჯირაუდოს სამსახურიდან გაშვების ამბავი რომ გაიგოთ, არ გაიკვირვოთ.

პაპუნა კედია

ბავარიელი ყასაბი

დრემლერი ბავშვებზე ნადირობს

არგენტინელი „ინდეპენდიენტეს“ ნორჩი ვარსკვლავი სერხიო აგერო წინასწარი ხელშეკრულებით სამომავლოსეზონოდ მადრიდის „ატლეტიკოს“ ჰყავს დაბეჭდული, თუმცა მისი მსურველი მეორე კლუბი, მიუნხენის „ბაიერნი“, სატრანსფერო ოფს კვლავაც აგრძელებს. მადრიდელი „მარკას“ ცნობით, ბუენოს აირესში იმყოფება ვინმე ვოლფგანგ დრემლერი, ტალანტებზე მონადირე ბავარიელი. იგი აგეროს 2004 წელს სამხრეთ ამერიკის თასზე აკვირდებოდა, როცა სერხიო პატაგონიელთა 16-წლამდელთა ნაკრების ღირსებას იცავდა.

„ინდეპენდიენტეს“ პრეზიდენტმა ხულიო კომპარადამ კი ბუენოს აირესში „მარკას“ კორესპონდენტს უთხრა, აგეროზე არც ერთი ევროპული გუნდის შემოთავაზება არ გვაკმაყოფილებსო.

რაც შეეხება „ატლეტიკოსთან“ წინასწარ ხელშეკრულებას, სენიორ კომპარადა მადრიდელებთან გარიგებასაც არ ადასტურებს — „ატლეტიკოს“ წარმომადგენლებთან ხანმოკლე საუბარი გვქონდაო, ამბობს. „ჩვენ არგენტინის ჩემპიონატის დასრულებას მოვუცდით და ვნახავთ, ევროპელები რას შემოგვთავაზებენ. სერხიო აგერო ახალგაზრდაა, „ინდეპენდიენტეში“ კონტრაქტით კიდევ ერთი წელი უწევს ყოფნა და მისი გაყიდვის სურვილი არ გვაქვს“. — განაცხადა ხულიო კომპარადამ.

ადგილობრივ ჩემპიონატში „ბოკა ხუნიორსთან“ მატჩში „ინდეპენდიენტეს“ ინჩასები თამაშზე მეტად აგეროს აქცევდნენ ყურადღებას. ფანებმა სერხიოს მასზე შეთხზული სიმღერები უმღერეს, ხოლო კლუბის პრეზიდენტმა მატჩამდე თავისთან, ლოჟაში მიიწვია, სამომავლოდაც „ინდეპენდიენტეში“ დარჩენაში რომ დაერწმუნებინა. „მარკაში“ კი ვკითხულობთ: „აგეროს გაისადაც არგენტინაში დატოვება ძალზე ძნელი საქმეა“

ლადო ხომერიკი

ჩეხ ფორვარდ იან კოლერს ინგლისური ფეხბურთი ხიბლავს და შესაძლოა, მომავალ სეზონში პრემიერლიგაში ითამაშოს. გერმანული „დორტმუნდის“ 33 წლის ფეხბურთელს ნისლიანი ალბიონიდან რამდენიმე წინადადება მიუღია.

იტალიური „ლივორნოს“ მთავარი მწვრთნელი მომავალ სეზონში შესაძლოა, „კალიარის“ ამჟამინდელი თავკაცი დანიელე არიგონი გახდეს. უკვე გადაწყვეტილია, რომ სეზონის ბოლოს ტოსკანელებს მხცოვანი კარლო მაცონე დატოვებს, რობერტო დონადონის დაბრუნება კი არარეალური ჩანს. ტოსკანელთა მწვრთნელობის მთავარ კანდიდატად არიგონი ამიტომაც მოიაზრება.

ინგლისური „ნიუკასლის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გუნდის მთავარ მწვრთნელად გლენ რიოდერი დატოვოს. წესით, 50 წლის ინგლისელი „კეჭკეჭებს“ სეზონის ბოლომდე უნდა გასძღოლოდა, მაგრამ გუნდი მის ხელში ისე გამოცოცხლდა, რომ მიუხედავად უეფას ლიცენზიის არქონისა, შეეჯობამ მას ნდობა გამოუცხადა.

რუსული „ზენიტი“ ისევ ახალი მწვრთნელის ძიებაშია. სანკტპეტერბურგელებმა ეს პოსტი უკვე შესთავაზეს სამხრეთ კორეის თავკაც დიკ ადვოკაატს. ამბობენ, თუ ჰოლანდიელი ამ წინადადებას არ მიიღებს, „ზენიტის“ ხელმძღვანელობა ფრანგული „ლილის“ დამრიგებელ კლოდ პუელის გადაბირებას ეცდებაო.

ინგლისური „ეფერტონიდან“ გაშვებული ლი ტიე შესაძლოა, „შეფილდ იუნაიტედში“ გადავიდეს, რომელიც პრემიერლიგას დაუბრუნდა. ჩინელის თქმით, უმნიშვნელო დეტალებიღა დარჩა შესათანხმებელი.

ინგლისურმა „უიგანმა“ სტეფან ანშოსა და დევიდ ტომპსონის გაშვება გადაწყვიტა. „ანშო ამ სეზონში ძალიან დაგვეხმარა თავისი გამოცდილებით და პროფესიონალიზმით. ტომპსონიც ძალიან ნიჭიერია, მაგრამ არ უმართლებს, ტრავმებმა გატანჯეს. ეს რთული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მომავალ სეზონში სხვა სქემით ვითამაშებთ და ორნი ამიტომ გავუშვით“ — თქვა მწვრთნელმა პოლ ჯუელმა.

შოტლანდიურმა „რეინჯერსმა“ ბერძენ მცველ სოტირიოს კირიაკოსთან კონტრაქტი აღარ გაგრძელა. მან გლაზგოელთა რიგებში ორი სეზონი გაატარა. იმავდროულად, „ჩაფრებმა“ 17 წლის სამხრეთაფრიკელი ნახევარმცველი დინ ფურძენი დაიმატეს.

ხურადღებაც გაიტანა
დი სტეფანომ სტადიონი ააშენა



ზიდანი და დი სტეფანო

მადრიდში „რეალის“ საპატიო პრეზიდენტისა და წარსულში ლეგენდარული ფეხბურთელის ალფრედო დი სტეფანოს სახელობის სტადიონი გაიხსნა. ამ არენაზე თამაშებს „რეალის“ მეორე გუნდი ჩაატარებს. „მინდა, ყველას დიდი მადლობა მოგახსენოთ. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩემს ახალ სახლში, რომელიც ამავდროულად ყველას სახლია. ფეხბურთი კოლექტიური თამაშია და დიდი პროფესიონალების დაუხმარებლად მეც ვერაფერს შევძლებდი ცხოვრებაში. არ მინდა, ვინმემ იფიქროს, „რეალის“ გამარჯვებები მხოლოდ დი სტეფანოს დამსახურება იყოო. ყველას მადლობას ვეუბნები, ვინც ჩემს გვერდით იდგა და ახლაც მხარს მიჭერს. თავს აღარ შეგაწყენთ, ახლა თამაშს ვუცქიროთ“ — განუცხადა 9 მაისს დონ ალფრედომ „ესტადიო ალფრედო დი სტეფანოზე“ შეკრებილ სტუმრებს და გულშემატკივრებს.

დიდსაფეხბურთო მახვშის საპატივცემულოდ ორი მატჩი გაიმართა — პირველად მადრიდის „რეალის“ ვეტერანები ესპანეთის ნაკრების ვეტერანებს შეერკინენ და ხოსე ემილიო ამავისკას პენალტით 1:0 მოუგეს. ამ შეხვედრაში პირნეელთა ძველი ლომები მონაწილეობდნენ — სანტილიანა, ემილიო ბუტრაგენიო, ფერნანდო იერო, ფერნანდო რეიდონდო, მიჩელი, ამავისკა, სერხი, ხულიო სალინასი და სხვები. ძველჩაუქთა ბურთაობის შემდეგ არენა ახალგაზრდებს დაეთმო — დღევანდელმა „რეალმა“ ფრანგულ „სტად დე რეიმსს“ უმასპინძლა. და დი სტეფანოს თვალწინ 6:1 გაანადგურა. „სტად დე რეიმსი“ სწორედ ის გუნდია, გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში დონ ალფრედოს ფანტასტიკურ „რეალთან“ ჩემპიონთა თასის ორი ფინალი (1956, 1959) რომ წააგო. ამჟამად გალური კლუბი კრიზისშია, საფრანგეთის მეორე დივიზიონში თამაშობს და სამეფო კლუბსაც ბეჭებზე მისი გაკვრა არ გასჭირვებია. ანგარიში სერხიო რამოსმა გახსნა თავური დარტყმით, მერე სტუმართა ფერემ გაათანაბრა, თუმცა კასანოს, ხურადოსა და სოლდადოს გოლებმა „სტად დე რეიმსს“ ბოლო მოუღეს. სამეფო კლუბმა დი სტეფანო ლაღი ბურთაობით დაასაჩუქრა.

ლადო ხომერიკი

ბლინდს კატი მოხვდა

დენი ბლინდი

ამსტერდამის „აიაქსს“ მომავალ სეზონში ახალი მწვრთნელი ეყოლება. დენი ბლინდს თავის თანაშემწეებთან (ჯერარდ ვან დერ ლემი და რუუდ კროლი) ერთად კარისკენ მიუთითეს. ბლინდის შემცვლელი, სავარაუდოდ, „ბარსელონაში“ ფრანკ რაიკარდის ასისტენტი ჰენკ ტენ კატი იქნება.

ბლინდის ხელში „აიაქსი“ არცთუ დამაჯერებლად თამაშობდა. ამსტერდამელები რომ ქვეყნის ჩემპიონები ვერ გახდებოდნენ, სეზონის დაწყებიდან მალევე გაირკვა. ბოლოს გუნდს ორი ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი — ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება და ჰოლანდიის თასის მოგება. „აიაქსმა“ ორივე შეასრულა — ლიგის საგზურისთვის პლეი ოფში „ვრონინგენი“ დაჯაბნა, ხოლო თასის ფინალში — პსვ. ამის მერე, ბევრი ამბობდა, მიუხედავად კრიტიკისა, 45 წლის ბლინდს დატოვებენო, მაგრამ...

თავად ბლინდი ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს და არც მომავალ გეგმებზე საუბრობს. შეგახსენებთ, რომ ბლინდი „აიაქსის“ მწვრთნელი 2005 წლის მარტში გახდა, მან რონალდ კუმანი შეცვალა.

კოკი კანდელაკი

ზინედინ და მისი რაზმი
დომენეკი კვირას იტყვის

საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი ოცდასამი ფეხბურთელის ვინაობას კვირას დასახელებს. ეს, ლურჯთა მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა განაცხადა.

როგორც ცნობილია, ამის შემდეგ, 22-26 მაისს, ფრანგთა ნაკრები სამთო სათხილამურო კურორტ ტინგეში შეიკრიბება, ხოლო 27 მაისს „სტად დე ფრანსზე“ ამხანაგურ შეხვედრას გაუმართავს მექსიკას. ამის შემდეგ ლურჯებს კიდევ ორი ამხანაგური თამაში აქვთ დაგეგმილი, 31 მაისს ლანსში დანიასთან და 7 ივნისს სენტ ეტიენში ჩინეთთან.

რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატს, აქ პირველი თამაში ფრანგებს 13 ივნისს, შტუტგარტში შვეიცარიასთან უწევთ.

პაპუნა კედია

პუნქტით შეშინებული
ბრიგელი არწივებს დაუსხლტა

ჰანს-პეტერ ბრიგელი

ალბანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტინდან გადადგა. 51 წლის გერმანელმა ამ თანამდებობაზე 3 წელი იმუშავა და არცთუ წარუმატებლად, მაგრამ მხარეები ახალ კონტრაქტზე ვერ შეთანხმდნენ და ბრიგელმა წასვლა გადაწყვიტა .

„კონტრაქტს, რომელიც შემომთავაზეს, ვერ დავთანხმდებოდი. ასეთ რაღაცებზე ადრე არ გვისაუბრია და ამგვარ პირობებს ფაქტობრივად არც ერთ ქვეყანაში არ აყენებენ. ალბანეთში მუშაობის გაგრძელება მინდოდა, მაგრამ...“ — თქვა ბრიგელმა.

გავრცელებული ცნობით, ბრიგელმა უარი იმ პუნქტის გამო თქვა, რომელშიც ეწერა, რომ თუ ალბანეთის ნაკრები სამ ოფიციალურ მატჩში დამარცხდებოდა, მწვრთნელს ავტომატურად მოუწევდა პოსტის დატოვება. შეგახსენებთ, რომ გერმანელი წელიწადში 240 ათას ევროს იღებდა.

„მე მიყვარს ალბანეთი და აქ სამუშაოდ სიამოვნებით დავბრუნდები, მაგრამ არა ეროვნული ნაკრების თავკაცად“ — დასძინა ბრიგელმა.

ამბობენ, იგი სამშობლოში ჩავა და შესაძლოა, ბუნდესლიგის რომელიმე კლუბიც ჩაიბაროსო.

გიორგი კაკაბაძე

ტყუპტრანსფერი

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ტყუპი ძმები, რაფაელ და ფაბიო პერეირები დაიბევა. ბრაზილიური „ფლუმინენსეს“ ფეხბურთელები 15-წლამდელთა ნაკრების წევრებიც არიან. რაფაელი მარჯვენა მცველია, ფაბიო კი — მარცხენა. ბრაზილიაში ამბობენ, რომ ნაკრებს ახალი კაფუ და რობერტო კარლოსი ეზრდება. ბიჭებს 18 წელი რომ შეუსრულდებათ, „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავლენ.



სარგებელი ტოტალიზატორი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. I ლიგა
11 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:45	444	ბარნსლი-პალერმოელი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
22:45	445	სუონსი-ბრენტფორდი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49

ინგლისი. II ლიგა
13 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15:00	478	ლინკოლნი-გრიმსბი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
21:00	479	უიკომბი-ჩელტენჰემი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54

ინგლისი. კონფერენსი პლეი ოფი
11 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:45	1	პერეფორდი-მორეკომბი	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81

გერმანია. I ბუნდესლიგა
13 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:30	3	ბაიერნი-ფორტმუნდი	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21
17:30	5	დუისბურგი-მაინცი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
17:30	6	აინტრახტი-გლადბახი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
17:30	7	ჰამბურგი-ვერდერი	2.50	3.30	2.55	1.42	1.26	1.43
17:30	8	ჰანოვერი-ლევერკუზენი	2.80	3.30	2.25	1.51	1.24	1.33
17:30	9	კიოლნი-არმინია	1.90	3.20	3.70	1.19	1.25	1.71
17:30	10	ნიურნბერგი-ჰერტა	2.70	3.20	2.40	1.46	1.27	1.37
17:30	11	შალკე-შტუტგარტი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
17:30	12	ვოლფსბურგი-ლაუტერნი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49

გერმანია. II ბუნდესლიგა
14 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:00	13	ალენი-ოფენბახი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
17:00	14	აუე-ზიგენი	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
17:00	15	ბურგჰაუზენი-ალემანია	2.35	3.30	2.55	1.37	1.22	1.43
17:00	16	კოტბუსი-მიუნხენი 1860	1.45	4.00	5.50	1.06	1.14	2.31
17:00	17.	ფრაიბურგი-ფიურტი	2.15	3.30	2.80	1.30	1.21	1.51
17:00	18	ჰანნა-დინამო	3.70	3.40	1.75	1.77	1.18	1.15
17:00	19	კარლსრუე-პადერბორნი	1.35	4.10	7.00	1.01	1.13	2.58
17:00	20	ზაარბრიუკენი-ბრაუნშვაიგი	2.20	3.30	2.70	1.32	1.21	1.48

ავსტრია. ბუნდესლიგა
13 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:30	51	რაპიდი-რიდი	2.20	3.30	2.75	1.32	1.22	1.50
20:30	52	ტიროლი-გრაცერი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76

საფრანგეთი. I დივიზიონი
13 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:00	124	აიაჩო-სტენეტიენი	2.30	2.90	3.00	1.28	1.30	1.47
22:00	125	ოსერი-სტრასბური	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31
22:00	127	ბორდო-მარსელი	2.35	3.10	2.80	1.33	1.27	1.47
22:00	128	ლანსი-ნანტი	1.48	3.70	6.00	1.05	1.18	2.28
22:00	130	ლიონი-ლე მანი	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21
22:00	131	მეცი-პსჟ	3.00	2.80	2.45	1.44	1.34	1.30
22:00	133.	მონაკო-ნანსი	1.75	3.20	4.70	1.13	1.27	1.90
22:00	134	რენი-ლილი	2.25	3.00	3.10	1.28	1.30	1.52
22:00	135	ტულუზი-სიშო	2.05	3.00	3.50	1.21	1.29	1.61
22:00	136	ტრუა-ნიცა	2.25	2.80	3.30	1.24	1.33	1.51

დანია. სუპერლიგა
14 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:00	219	ოლბორგი-ესბიერგი	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
17:00	220	ორჰუსი-ოდენსე	4.50	3.60	1.65	2.00	1.20	1.13
17:00	222	ბრონდბიუ-სიონდერიისკე	1.20	5.30	10.00	1.00	1.07	3.46
17:00	224	კოპენჰაგენი-ხოლბეკორგი	1.30	4.50	8.00	1.00	1.11	2.88
17:00	226	ნორდსიელანდი-ჰორსენსი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
17:00	227	ვიბორგი-მიდტიულანდი	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83

ნორვეგია. ტიპელიგა
12 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	240	ვოლერენგა-ლილესტრომი	2.60	3.10	2.60	1.41	1.29	1.41

13 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	241	ჰამარი-სტარტი	2.35	3.30	2.65	1.37	1.24	1.46
20:00	242	მოლდე-ფრედრიქსტადი	2.10	3.30	3.20	1.28	1.26	1.62
20:00	243	ოდ გრენლანდია-ლინი	2.30	3.30	2.85	1.35	1.27	1.52
18:00	244	სანდეფიორდი-ბრანი	2.70	3.30	2.40	1.48	1.27	1.38
20:00	245	სტაბეკი-ვიკინგი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
22:00	246	ტრომსიო-როსენბორგი	3.30	3.30	2.00	1.64	1.24	1.24

შვედეთი. ალსვენსკა
11 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	260	ჰელსინგბორგი-ჰალმსტადი	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
21:00	261	ჰეგენი-აიკ	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
21:00	262	იურგორდენი-ჰალმიე	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
21:00	263	ელფსბორგი-გეფლე	1.50	3.80	5.50	1.07	1.17	2.24

ფინეთი
11 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:30	282	ჰიკ-კუოპიო	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
19:30	283	ლაჰტი-ჰიკა	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
19:30	284	ტამპერე-კეპ	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
20:00	285	ტურკუ-ინტერი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41

იაპონია
12 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
14:00	293	გამბა-ივატა	1.65	3.30	4.60	1.10	1.21	1.92

მექსიკა
11 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23;45	376	ჩიკასი-პაჩუკა	2.50	3.10	2.50	1.38	1.25	1.38

ურუგვაი
13 მაისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:30	451	სერრო-ლი

ვატოს შოუ

ნაცვლიშვილმა ჰერბერტს პლეი აუტი უთხრა

„დიჟონში“ რიგით მოთამაშედ დავბრუნდი, ლიდერობა სხვისთვის გადამილოცნია, ისეთი ტრავმა გადავიტანე. ეს რომ მოვინდომო, უგუნური უნდა ვიყო“ — თქვა ვახტანგ ნაცვლიშვილმა ამ 2 თვის წინ, თავის ძველ გუნდს ურთულესტრავმაგადატანილი რომ დაუბრუნდა.

ვატო თავიდან მართლაც მოკრძალებული იყო, მცირე დროით შედიოდა მოედანზე, თუმც მიუხედავად ამისა, ფორმაში ისე ელვისებურად შედიოდა, რომ ბოლო მატჩებში ერთ-ერთი საუკეთესო დიჟონელთაგან.

3 დღის წინ ნაცვლიშვილი „დიჟონს“ საფრანგეთის თასის აღებაში გვარიანად დაეხმარა, გუშინ კი ვატომ ამ გუნდს პლეი ოფიც დაუბევა — „რუანთან“ მატჩში ის საუკეთესო იყო.

23 წუთში 19 ქულა, თანაც საფრანგეთის დაცვითი თამაშით ცნობილ ჩემპიონატში. ნაცვლიშვილმა 9-დან 7 ორქულიანი ჩაგდო, 6 საჯარიმოდან 5 გაახვა ბადეში და მატჩის ბომბარდირი და საუკეთესო მოთამაშე გახდა.

„ამ სეზონში პირველი მატჩი ვითამაშე ხუთეულში და ორმაგად გამიხარდა, სწორედ ამ დროს რომ გამოვიჩინე თავი. ასეთი თამაშები მე მაშინაც იშვიათად მქონდა, სანამ ტრავმას მივილებდი. აქ ყველა სასიამოვნოდ გაოცებულია. არავინ ელოდა, რომ 2 წლის უვარჯიშებელი და ნამკურნალევი კაცი ასე უცებ თუ მოახერხებდა ამდენს“ — გვითხრა ვახტანგ ნაცვლიშვილმა გუშინ, დიჟონში რომ შევეხმიანეთ.

ფრანგები მართლაც აღფრთოვანებულნი არიან ქართველი ლეგიონერის მოულოდნელი ათამაშებით. პრესაში „დიჟონ“ — „რუანის“ მიმოხილვა ასეთი სათაურით გამოქვეყნდა — „ვატოს შოუ“.

„დიჟონმა“, ამ გამარჯვებით თავი პლეი ოფში დაიგულა, რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 2 ტურით ადრე ეს გუნდი მიუწვდომელი გახდა საქართველოს ნაკრების მწვრთნელის გორდონ ჰერბერტის „რასინგისთვის“.

ირაკლი პერტაია

მდივანმა სეზონი დივანზე გაატარა

პინაზე მხოლოდ ეპინალია

გასხოვთ *გიორგი მდივანი, ერთ დროს ფრანგულ „პო ორტეზში“ წასული და ძალიან პერსპექტიულ მოთამაშედ მიჩნეული ახალგაზრდა? სეზონი ლამის მიილია და მას ერთი ოფიციალური მატჩიც არ უთამაშია. მიზეზი მუხლის ურთულესი ტრამა იყო, თანაც თავის გუნდ „ეპინალში“ საქართველოს სანაკრებო ვარჯიშების გამო ჩასვლა დაგვიანდა და ძირითად შემადგენლობაში ველარ მოხვდა. გუშინ მდივანს საფრანგეთში შევეხმიანეთ და უახლოეს გეგმებზე ვესაუბრეთ...*



მარცხენა: მდივანი ეპინალის ფოტოზე

— სეზონი ფაქტობრივად გაგიცდა, არადა, ზაფხულში კარგ ფორმაში იყავი, ახალგაზრდულ ნაკრებში თავიც გამოიჩინე...

— სამწუხაროდ, ნაკრებში მიღებულმა მუხლის მძიმე ტრავმამ განაპირობა, რომ ამ სეზონში უთამაშებელი დავრჩი. მკურნალობის გამო საფრანგეთში ჩასვლაც დავიგვიანე და განაცხადში არ შემიყვანეს. ისე, რა აზრი ჰქონდა, მუხლი საკმაოდ მტკიოდა და მერჩივნა, ჯანრთელობისთვის მიმეხედა.

— როცა მუხლი მოირჩინე, მერე რას აკეთებდი?

— „ეპინალთან“ კონტრაქტი მაკავშირებდა და კლუბთან ერთად ვვარჯიშობდი. მერე რომელიღაც სამოყვარულო გუნდში გამაგზავნეს, სათამაშო პრაქტიკა რომ მიმეღო და ასე გაილია ეს სეზონიც. ახლა ისევ „ეპინალში“ ვარ და მომავალი სეზონისთვის ვემზადები, თავდაუზოგავად ვვარჯიშობ.

— სად ითამაშებ, ისევ „ეპინალში“?

— ჯერ არ ვიცი, ალბათ, ისევ აქ დავრჩები. მპირდებიან, რომ კონტრაქტს გამიხანგრძლივებენ და თუ ასე მოხდა, წინააღმდეგი არ ვიქნები. მართალია, „ეპინალი“ უმაღლესი ლიგის გუნდი არაა, მაგრამ ამ ეტაპზე ამაზეც არ ვიტყვი უარს.

— სხვა გუნდების ვარიანტები არ გაქვს?

— ამას წინათ მქონდა უცხოურ კლუბებში გადასვლის შანსი, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან საფრანგეთში მოქალაქეობას ველოდები, რამდენიმე თვეც და პასპორტის აღების ვადა მოატანს. ამიტომაც არ მინდა საფრანგეთის დატოვება.

— გავიგეთ, პარიზის „რასინგიდან“ წამოსული გიორგი მამაცაშვილი შენთანაა...

— გიორგიც აქაა, ერთად ვვარჯიშობთ „ეპინალში“, მაგრამ მის მომავალზე ვერაფერს გეტყვი. ჯერჯერობით ვარჯიშობს და აიყვანენ თუ არა, წინასწარ თქმა ძნელია.

ირაკლი პერტაია

AFP სან ანტონიოდან

აივერი ჯონსონის „დალასმა“ ჩემპიონი „სან ანტონიო“ გააცამტვერა

9 მაისი

მეორე რაუნდი
აღმოსავლეთი
დეტროიტი 2:0 ულივლენდი

დეტროიტი 97:91 კლივლენდი

დეტროიტი: რ. ვოლესი (29), პრინსი (20), ჰამილტონი (17), ბილაფსი (15), ბ. ვოლესი (10 ქულა, 15 მოხსნა)

კლივლენდი: ჯეიმსი (30 ქულა, 14 მოხსნა, 7 პასი), გუდენი (17)

ის, რაც „კლივლენდს“ „ვაშინგტონთან“ გაუვიდა, „დეტროიტთან“ ვერ გასდის — მხოლოდ ლებრონ ჯეიმსის ჯადოქრობებით და სხვა მისიანთა კანტიკუნტი გამოფხიზლებებით ექს და ვიცე-ჩემპიონს ვერ შეაშინებ. „დეტროიტთან“ სამეორეაუნდო შეხლაში ლებრონმა ბლომად ქულა-მოხსნა-პასები იხვეჭა, სამმაგ დუბლსაც მიუახლოვდა, რაც მხოლოდ იმისთვის აღმოჩნდა საკმარისი, რომ მის გუნდს საპატიო, 6-ქულიანი სხვაობით წაეგო და სერიის პირველ მატჩში 27-ქულიანი განადგურების შემდეგ ოდნავ მაინც აღედგინა შელახული თავმოყვარეობა. მაგრამ რეალურად „კლივლენდი“ ვერც ამჯერად მიუახლოვდა „დეტროიტს“, ვისაც პირველიდან ბოლო წუთამდე საიმედოდ ეპყრო მატჩის სადავეები.

თვით ლებრონის თემაც იმსახურებს ჩაღრმავებას — 30 ქულა კი ჩაგდო, მაგრამ პირველ ტაიმში მხოლოდ 7 თუ შეაკოწიწა, რაც მასპინძელთა მარწუხა დამცველების პირდაპირი დამსახურებაა. პირველ ტაიმში დეტროიტელებმა მომხდურთა მოიერიშეები ისე მოგუდეს, ტრიბუნებს ლამის ამათი ძვლების მტვრევის ხმა ასმენინეს. შეტევაში კი ჩონსი ბილაფსის და რაშიდ ვოლესის მეცადინეობით სხვაობა იერიშსა და იერიშს შუა იზრდებოდა. პირველ-მეორე მეოთხედების შესაყარზე „დეტროიტმა“ ერთი მონაკვეთი 13:0 მოიგო და 37:18 დაწინაურდა, შემდეგ კი ოდნავ მოუშვა სადავეები, „კლივლენდს“ განავრდების უფლება მისცა და ლებრონიანები მთელი დარჩენილი დრო წვალობდნენ. მატჩის დამთავრებამდე 1,13 წუთით ადრე 5 ქულითაც წამოეწივნენ, ეს იყო და ეს.

დასავლეთი
სან ანტონიო 1:1 დალასი

სან ანტონიო 91:113 დალასი

სან ანტონიო: დანკანი (28), პარკერი (15), ჯინობილი (13)

დალასი: ჰოვარდი (27), ნოვიცკი (21), ჰარისი (20), სტეკჰაუსი (19)

ორი მძლავრი ტეხასური გუნდის სამეორეაუნდო სერია ნაადრევ ფინალადაც მოინათლა და ინტრიგინტერესსაც ნამდვილად არ მოისაკლისებს. პირველი მატჩი „სან ანტონიოსი“ იყო, მეორე — „დალასისაა“, ოღონდ თუ 7 მაისს ჩემპიონებმა 2 ქულით იმარჯვეს, 9 მაისს დალასელებმა პირდაპირ გადაურბინეს ტიმ დანკანის გუნდს.

„დალასის“ მყვირალა თაეკაცმა აივერი ჯონსონმა — ორიოდ კვირის წინ კოლეგათა შორის სეზონში საუკეთესოდ რომ დაასახელეს — ერთხელაც ნათელყო, რომ დიდი სტრატეგია და „პატარა გენერლის“ სახელიც თავისი სამწვრთნელო ჭკუის და არა შეგირდების დაცოფვის გამო მიიღო.

ჩემპიონ „სან ანტონიოს“ დევების არ ეშინია და ჩია სათადარიგო დევინ ჰარისით როგორ შეაშფოთებ?! მაგრამ ჯონსონის მუხანათმა ჩანაფიქრმა შედეგი მოიტანა. მეორი, პირადად მისთვისაც გასაკვირად დამწყებ ხუთეულში დაყენებულმა ამ ჰარისმა მოედნის ორივე ნახევარზე სისხლი გაუშრო „სან ანტონიოს“ ვარსკვლავ გამთამაშებელ ტონი პარკერს და თავისდა წილად 20 ქულა გააკეთა. მისი ლიდერობით და სხვათა ქულუხვიანობის წყალობით, „დალასმა“ პირველი ტაიმი 20 ქულით მოუგო გაოგნებულ მასპინძელს და არც მეორეში აგრძნობინა შვება.

ახლა „სან ანტონიოს“ თაეკაც გრეგ პოპოვიჩის სვლაა, მას მოუწევს რაიმე ახლის მოგონება, თორემ ტიმ დანკანის და პარკერ-ჯინობილის დუეტის გაჩერება „დალასისთვისაც“ კია ძნელი, მაგრამ, როგორც, აგერ, ახლა გამოჩნდა, სულაც არაა შეუძლებელი.

კოტე ყორშია

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ ამკრეფ-ოპერატორს მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

შეეჯარი სიცოცხლეს!

გეტყვის მალე შუმახერი: არ დალიო ეს ოხერი

საქართველოში ორდღიანი ვიზიტით მყოფმა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტმა მაქს მოსლიმ გადატვირთულ განრიგში დრო გამონახა და მოძრაობის უსაფრთხოების კომისიის შეფ დევიდ უორდთან ერთად გუშინ ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ჩაატარა ლექცია თემაზე „საგზაო უსაფრთხოების გავლენა საქართველოს მომავალზე“.

ამ საქმის ინიციატორი დიდი ბრიტანეთის საელჩო იყო, ხოლო მიზეზი ერთი თვის წინანდელი საშინელი ავტოკატასტროფა გახდა, რომელმაც უნივერსიტეტის სამი სტუდენტის სიცოცხლე იმსხვერპლა.

მოსლი და უორდი სტუდენტებსა და მოწვეულ სტუმრებს იმ ღონისძიებებზე ესაუბრნენ, რომლებსაც ფედერაცია ახორციელებს მოძრაობის უსაფრთხოების ასამაღლებლად

მაქს მოსლი და დევიდ უორდი

შალვა ოგბაიძე

გურამ დოლიძისა და ვალერიანა ფოტოები

მოსლი: „FIA-ს მთავარი ამოცანა მთელ მსოფლიოში ავტოსპორტის განვითარებაა. პრიორიტეტულია ფორმულა-1, თუმც, ცხადია, სხვა სახეობებსაც დიდ ყურადღებას ვაქცევთ. ესაა, რა თქმა უნდა, რალი. ბევრს ვაკეთებთ კარტინგის სფეროშიც. ერთი სიტყვით, ამ მხრივ მრავალფეროვან საქმიანობას ვეწევით.

გარდა ამისა, ასე ვთქვათ, ყოველდღიურ ავტოსფეროშიც ვმუშაობთ და ერთ-ერთი სწორედ საგზაო უსაფრთხოება გახლავთ. სამწუხაროდ, ეს მთელ დედამიწაზე უდიდესი პრობლემაა — ყოველდღიურად თითქმის 3000 ადამიანი იღუპება, ანუ იმდენივე, რამდენიც ნიუ იორკში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტისას. ბევრი რამ უნდა ვიღონოთ, რათა მნიშვნელოვნად შემცირდეს მსხვერპლი. მაგალითად შეიძლება, საფრანგეთი მოვიყვანოთ, სადაც საგზაო წესების გამკაცრებამ დიდი ეფექტი მოიტანა.

საქართველოში ჩვენი სტუმრობის უმთავრესი მიზანიც სწორედ ესაა, რომ თქვენი ქვეყანაც ჩაერთოს მოძრაობის უსაფრთხოების ასამაღლებელ საერთაშორისო პროგრამაში, ეს კი სამთავრობო დონეზე უნდა მოხდეს.“

უორდი: „დაფიქრდით, ვიდრე საჭეს მიუჯდებით. უბედურების მიზეზი ორია — დამცავი ღვედების უგულებელყოფა და მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვა. როგორც უკვე შევამჩნიე, თქვენთან ღვედებს არ იყენებენ. ეს 30-40 წლის წინანდელ ინგლისს მაგონებს, მაშინ ჩვენთანაც ასე იყო. ღვედების სავალდებულო კანონი 80-იან წლებში შევიდა ძალაში.

მაშინ 17 წლის ვიყავი და გადარეულივით დავაქროლებდი, მაინცდამაინც არ ვწყალობდი ღვედებს, მაგრამ ერთმა შემთხვევამ სრულიად შემცვალა. მორიგი მოგზაურობის წინ ღვედები შევიბნიე და მეგობარსაც ვურჩიე. იმან ლამის დამცინა, რად გინდაო, თუმც ბოლოს მაინც დამიჯერა. რამდენიმე წუთში საშინელ ავარიაში მოვყევით და სწორედ ღვედებმა გადაგვარჩინა. ისეთი ძალის შეჯახები იყო, რომ კარგა ხანს გულმკერდზე ღვედის კვალი მაჩნდა.

თქვენც უნდა შეცვალოთ ამ საკითხისადმი დამოკიდებულება. FIA-მ ორი წლის წინათ კოსტა რიკაში იქაური მთავრობისა და პოლიციის მხარდაჭერით „ატარეთ ღვედები“ საგზაო ფართომასშტაბიანი კამპანია, რამაც სასურველი შედეგი მოიტანა.“

მოსლი: „ჩვენი მიზანია საქართველოსთან კონტაქტის დამყარება და გამყარება. თქვენი ავტოფედერაციის საქმიანობაში დიდი ენთუზიაზმი იგრძნობა. ამდენად გვსურს, დავეხმაროთ და უსაფრთხოების გასაძლიერებლად კამპანია წამოვიწყოთ.

FIA-სა და ამ ლექციას შორის ის კავშირია, რომ ძალიან ბევრ ახალგაზრდას უყვარს სწრაფი ქროლა და დაბეჯითებით გვინდა, ეურჩოთ, აუცილებლად გამოიყენონ ღვედები და უარი თქვან სასმელზე. უნდა გამოინახოს საშუალებები, რათა იქროლოთ არა ქუჩებში, არამედ სათანადო ადგილებშში — სპეციალურ საშეჯიბრო გზებსა და ავტოდრომებზე.“

შალვა ოგბაიძე, საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი: „ამ ვიზიტს ორი მიზანი აქვს — საქართველოში ავტოსპორტის განვითარება და ჩვენს გზებზე უსაფრთხოებისთვის მოძრაობის ჯანსაღი წესის დამკვიდრება. ჩვენი ფედერაცია უერთდება ამ პროგრამას. ეს მოხდება საქართველოს ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროებთან, აგრეთვე სატატრულო პოლიციასთან ერთად.

მოგეხსენებათ, თვალსაჩინო აგიტაციას უდიდესი ძალა აქვს და ამ მხრივ იქნებ, ვთქვათ, ფორმულა ერთის ვარსკვლავები მიხაელ შუმახერი ან კიმი რაიკონენი გვეწვიონ საქართველოში.“

გია ახალაძე

ირაკლი ჩაჩუამ საქართველო აზერბაიჯანში ნახა

ირაკლი ჩაჩუას საშვედეთო საფიქრალი კიდევ აქვს

გურამ დოლიძისა და ვალერიანა ფოტო

საქართველოს კაც ფრენბურთელთა ნაკრები აზერბაიჯანიდან დაბრუნდა, სადაც იქაურ ნაკრებს ამხანაგურად ორჯერ გაეჯიბრა. ჩვენებმა პირველი მატჩი 3:2 მოიგეს, მეორე კი იმავე ანგარიშით დათმეს. აზერბაიჯანული ორდღიანი ვოიაჟი საქართველოს ნაკრებს 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მოსამზადებლად სჭირდებოდა. როგორც იცით, 13 მაისს სპორტის სასახლეში ჩვენები შვედეთს ეთამაშებიან, 21 მაისს კი სტოკჰოლმში საპასუხო მატჩია. აზერბაიჯანიდან დაბრუნებული საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ირაკლი ჩაჩუას გუშინ ვესაუბრეთ.

— ძალიან სასარგებლო მატჩები იყო. ნაკრები ამ შემადგენლობით და ისიც სამი-ოთხ წლიანი პაუზის შემდეგ პირველად თამაშობდა. აზერბაიჯანის ნაკრები კარგი სპარინგპარტნიორი გამოდგა. შეიძლება ითქვას, მაქსიმალურად მოგვეცა საშუალება, ჩვენი გუნდის ძლიერი და სუსტი მხარეები დაგვენახა.

— ესე იგი შეთამაშების პრობლემა ნაწილობრივ მაინც მოგვარდა.

— დიახ, ასეა. კომბინაციების დამუშავებაც მოვასწარით და ისიც ვიცი, ვინ რომელ პოზიციაზე უნდა ვათამაშო.

— ალბათ, ნაკრების ძირითადი ბირთვიც გამოიკვეთებოდა...

— ძალიან კარგად ითამაშა ამირან ჯიოშვილმა. მისგან ველოდით კიდეც ლიდერის თვისებების გამოვლენას, კაპიტანიც ამიტომაა. საერთო ჯამში ყველამ კარგად ითამაშა. ეგაა, რომ სულხან ახვლედიანმა იტკინა ფეხი და ბოლომდე ვერ შეძლო თავის წარმოჩენა. მთლიანობაში ყველა მოთამაშით კმაყოფილი ვარ, თანაც აზერბაიჯანთან არ გვყავდა ვახტანგ ჩიქოვანი, რომელიც ხვალ ჩამოვა. ჩიქოვანის „ტრაბზონმა“ პლეი ოფი მოიგო და თურქეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გადავიდა.

— მერთი ელითეზი როგორაა? ნატკენი ფეხი მოირჩინა?

— დიახ, მოირჩინა, მაგრამ იგი გამთამაშებელია და თუ ნახტომი ვერ შეძლო, აზრი არ აქვს მის თამაშს. ვნახოთ, მატჩამდე სამი დღე დარჩა. თანაც საერთაშორისო ფედერაციიდან ჯერ კიდევ არ მოგვსვლია დასტური, რომ მას შეუძლია საქართველოს ნაკრებში ითამაშოს.

ბაჩო სვანიძე

გიორგი ასანიძე მსოფლიოზე ფიქრობს

გურამ დოლიძისა და ვალერიანა ფოტო

„გიორგი ასანიძის საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ ჩემთვის უცნობია. მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი გამოსვლა იმაზეა დამოკიდებული, განაახლებს თუ არა ახლო მომავალში ვარჯიშს“ — გვითხრა რამდენიმე დღის წინ საქართველოს ძალოსანთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვანო გრიქუროვმა. ჩვენი ნაკრები გასულ კვირაში ჰოლონეთში ევროპირველობაზე გამოვიდა და ერთი მცირე ოქროს მედალი მოიპოვა. ამ ტურნირზე გრიქუროვის ოთხეულის გვერდით ასანიძეც იდგა, ოღონდ მხოლოდ მორალურად — ფიცარნაგზე არ გასულა.

ნაკრები საქართველოში 15 მაისს ბრუნდება, გიორგი კი უკვე თბილისშია და ჩვენთვის ყველაზე საინტერესო კითხვაზეც პასუხი თავად გაგვცა:

„ოპტიმალურ ფორმაში ჩასადგომად დაახლოებით ოთხი თვე სერიოზული ვარჯიში დამჭირდება. მსოფლიოს ჩემპიონატამდე თითქმის ეს დრო რჩება, მაგრამ, სამწუხაროდ, მომზადების დაწყება ჯერ არ შემიძლია. სავარაუდოდ, დარბაზს ზაფხულიდან დავუბრუნდები და ვეცდები, ტურნირამდე იმდენი მაინც მოვასწრო, ნაკრებს სალიცენზიო ქულების აღებაში დავეხმარო. მშვენიერი თაობა მოდის და მინდა, პეკინის ოლიმპიადის საგზურების მოპოვებაში ბიჭებს ხელი მაქსიმალურად შევუწყო. ამჯერად კი მხოლოდ დროგამოშვებით ვვარჯიშობ.

ოთარ მაღლაკელიძე

ტესტ-მატჩი. 10 მაისი. ტოკიო

იაპონია A 15:14 საქართველო

ლელოებს სკამიანმა მენეჯერმაც ვერ უშველა

ბადრი ჯიმშელაძის ფოტო

იაპონიასთან ჩვენებს გიორგი ლაბაძემ უკაპიტნა

საქართველოს ნაკრებმა გუშინ პირველი მატჩი ითამაშა იაპონურ რვადღიან ტურნეზე და იქაურ „ა“, ანუ მეორე ნაკრებთან მინიმალური სხვაობით წააგო. კაცმა რომ თქვას, არც ჩვენები თამაშობდნენ ძირითადი გუნდით, მეტიც, ქართველი „ლელოები“ პრაქტიკულად მესამე შემადგენლობით დაუდგნენ იაპონიის სარეზერვო კრებულს.

იმის გამო, რომ იაპონური ტურნე რაგბის საერთაშორისო საბჭოს ოფიციალურ კალენდარს ვერ დაემთხვა, უცხოურმა კლუბებმა ქართველი ლეგიონერები სანაკრებოდ არ გაათავისუფლეს და ჩვენებიც სათადარიგოების სათადარიგოებით ჩაფრინდნენ იაპონიაში. ეგ კი არა, სამატჩო განაცხადში შესაყვანი 22 კაციც არ მოუგროვდათ და გუშინდელი მატჩის მარქაფში ყოფილი ბორჯღალოსანი ახლა კი ნაკრების მენეჯერი ვასილი აბაშიძე ეჯდათ.

ქართველების რუსული ჯავრი
13-ჯაცას სლავური ბაზარი

ბადრი ჯიმშელაძის ფოტო

გიორგი ასათიანს რუსებთან რევანშზე ფიქრობს

დღეს დილით საქართველოს ცამეტკაცა ნაკრები სერბეთში გაფრინდა. შაბათს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი იწყება და ქართველები ბელგრადში სერბეთს ხვდებიან. ოთხგუნდა ჯგუფში საქართველოს და სერბეთის გარდა ჰოლანდია და რუსეთიც თამაშობენ. ერთმანეთთან თითო ჯახის შემდეგ კი ორი საუკეთესო საშემოდგომო ევროპირველობის საგზურს გაინაღდებს. მსოფლიოს ჩემპიონატი კი მომავალ წელს ჩატარდება.

„სერბეთს, ჰოლანდიასა და რუსეთს შარშანაც შევხვდით და მხოლოდ რუსეთთან დავმარცხდით — იხსნებს ნაკრების უკანახაზელი გიორგი ასათიანი — მოსკოვში გვაჯობეს და ამ შესარჩევში ყველაზე მეტად რევანშზე ვფიქრობთ. ამჯერადაც სტუმრად მოგვიწევს რუსებთან თამაში 22 ივნისს. სერბეთს შარშან თბილისში 44:12 მოვუგეთ, ხოლო ჰოლანდიას გასვლაზე — 34:14. წლეულს ჰოლანდიას 26 მაისს ვუმასპინძლებთ ვაკის სტადიონზე. ევროპირველობის ფინალური ეტაპის ჯგუფები უკვე თითქმის გარკეულია. თუ შესარჩევში პირველზე გავალთ, შოტლანდიასთან და უელსთან მოვხვდებით. მეორეობის შემთხვევაში — ირლანდიასთან და ლიბანთან.“

ქართველები სერბეთში ამ შემადგენლობით ჩავიდნენ: *გიორგი სორდია, სანდრო გილაური, თორნიკე აშვეთია, მანუჩარ ნამჩემაძე, გიორგი ასათიანი, ზვიად კობერიძე, ლექსო გუგავა, მერაბ კვირიკაშვილი, ფრიდონ უდესიანი, ვახტანგ აბვლედიანი, გიორგი ნემსაძე, შალვა სუთიაშვილი, ნიკა მზეიძე, ბექა ყურაშვილი, კახა კობახიძე, როინ ჩიკვაიძე, გიორგი ხოსიტაშვილი.*

იქნებ გახსოვდეთ ფენომენალური ბუთხია სინგხი, რომელზეც შარშან არაერთხელ ვწერდით: ეს სამი წლის ბავშვი მარათონულ დისტანციებზე დარბის და კილომეტრს კილომეტრზე კეცავსო

ბუთხიას კიდევ ერთი სასწაული

ყოველი შემთხვევისთვის შეგახსენებთ, რომ ბუთხია დედამისმა, შუკანტი სინგხმა 20 დოლარად ფოსტალიონს მას მერე მიყიდა, რაც ქმარი მოუკვდა და ხელში ატორღიალებული ორი ბავშვი დარჩა. მერე ძუდოისტთა მწვრთნელმა დასმა, რომელმაც 20 უსახლკარო ბავშვი თავის ჭერქვეშ შეიფარა და ზრდის, ბუთხია 20 დოლარადვე გამოისყიდა. ერთ მშვენიერ დღეს შემთხვევით მან ბუთხიას მარათონული მონაცემები აღმოაჩინა. ჰოდა, მას მერე დარბის და დარბის ბუთხია.

აი, ბუთხიამ ახლაც დაადო თავი და უკვე ოთხი წლისამ შეიდსაათიანი შეუსვენებელი რბენით უკან მოიტოვა 65 კილომეტრი. ამის მერე ისედაც კარგად ცნობილს მთელს დედამიწაზე გაუვარდა სახელი და გინესის რეკორდების წიგნშიც შევიდა.

ბუთხიას მთელი მარათონის მანძილზე ათასობით კაცი ეგებებოდა და ესალმებოდა. მას რბენით მიაცილებდა სპეცდანიშნულების რაზმი, რომლის ილაჯგაწყვეტილი წევრებიც ყოველი საათის მერე იცვლებოდნენ, ბუთხია კი იმ პაპანაქებაში, 40-გრადუსიან სიცხეში უქუდოდ მირბოდა და მირბოდა.

...მაგრამ!

აქამდე გამართული მარათონების მერე ბუთხიას ჯანმრთელობაში ცვლილებები ექიმებს არ აღმოუჩენიათ, ახლა კი...

ახლა სამედიცინო დასკვნაში ნათქვამია, შესაძლოა რომ ამ ბავშვმა მარათონული გარბენი საერთოდ ვეღარასოდეს შესძლოსო.

. ამ ტრიუმფალური თუ სავალალო, მაგრამ მაინც ფანტასტიკური გარბენის მერე ექიმებმა თქვეს, ბუთხიას ნერვული შოკი აქვს, წნევამაც აუწია და მაჯისცემამაც, თანაც თირკმელების ფუნქციები მოეშალა.

ავთანდილ ბყვიშელი

პლეი ოფი 2006

9 მაისი

დასავლეთი

ანაჰაიმი 3:0 პოლორადო

კოლორადო 3:4 ანაჰაიმი

1:0 0:1 2:2 0:1

1:0 ჰაინოტი (20), 1:1 ლუპული (30), 2:1 დაუდი (45), 2:2 ლუპული (49), 2:3 ლუპული (51), 3:3 ბლეიკი (54), 3:4 ლუპული (77)

ჯოფრი ლუპოლი ანაჰაიმის რუპორია

ჰოკეის გაოცებულ სპეციალისტებს „ანაჰიმთან“ დაკავშირებით კიდევ ერთი შეუითხვა ებადებათ — ეს ლუპული ვინღაა? „ანაჰაიმმა“ ჰოკეის სამყაროს კიდევ ერთი გმირი მოუვლინა. 22 წლის ახალბედა ჯოფრი ლუპულზე მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ ეს საკმაოდ პერსპექტიული ფორვარდია, მაგრამ სერიის საკვანძო მატჩში სასწაულს რომ მოახდენდა და ერთბაშად ოთხ გოლს გაიტანდა, ამას ნამდვილად არავინ ელოდა. ლუპოლი ოთხივე შემთხვევაში ჩინებულად განთავისუფლდა მეურვეებისაგან და ერთმანეთზე უკეთესი დარტყმებით დალაშქრა ჟოზე თეოდორის კარი. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ლუპულმა მარტო აჯობა მეტოქეს, გუნდმა თამაშში მთელი ჯიგარი ჩადო.

კიდევ ორი ახალბედა იმსახურებს გამორჩევას. ერთ-ერთი მათგანი მეკარე ილია ბრიზგალოვი გახლდათ. რუსმა თითქმის ერთი პერიოდის განმავლობაში არ გაუშვა გოლი და თავისი მშრალი სერია 249 წუთამდე (!) გაზარდა, რაც ლიგის ისტორიაში მეორე საუკეთესო შედეგი გახლავთ. მეორე კი ფორვარდი დასტინ პენერია, რომელიც თავისი აღნაგობით უფრო მოჩხუბარ მცველს წააგავს, მაგრამ შაიბის ჩინებული ფლობით უკვე არაერთხელ გამოირჩა პლეი ოფში. ამჯერადაც ლუპულის ოთხი გოლიდან სამი პენერის პასებით გავიდა.



AFP დენვერიდან

ჯეფრი ლუპოლმა „კოლორადოს“ ოთხი გოლი გაუტანა

კაცები. მასტერსი. რომი. თიხნარი

საპრიზო 2 450 000 $

პირველი წრე

იარკო ნიემინენი (ფინეთი) — **სებასტიან გროჯანი** (საფრანგეთი) 6:1 6:2; **რადეკ შტეპანეკი** (14, ჩეხეთი) — **ფელიციანო ლოპესი** (ესპანეთი) 6:4 6:4; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — **სიმონ ბოლელი** (საფრანგეთი) 6:4 2:6 6:1; **ნიკოლაი დავიდენკო** (6, რუსეთი) — **ბორის პაშანსკი** (სერბეთი) 6:1 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (4, არგენტინა) — **ფერნანდო ვისენტე** (ესპანეთი) 6:2 3:6 6:3; **პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — **ხუან-კარლოს ფერერო** (ესპანეთი) 6:1 6:3; **რუბენ რამირეს-იდალგო** (ესპანეთი) — **გილერმო კორია** (9, არგენტინა) 6:3 6:2; **მარატ საფინი** (რუსეთი) — **თეიმურაზ გაბაშვილი** (რუსეთი) 7:5 3:6 6:1; **ენდი როდიკი** (3, აშშ) — **ვიტორ პანესკუ** (რუმინეთი) 6:1 6:0; **მარკოს ბალდატისი** (კვიპროსი) — **ოლივიე როხუსი** (ბელგია) 7:5 6:4; **ძსავიე მალისი** (ბელგია) — **გასტონ გაუდიო** (8, არგენტინა) 4:6 6:3 6:3; **ტომაშ ბერდიხი** (ჩეხეთი) — **პარადორნ შრიჩაპარნი** (ტაილანდი) 6:1 6:3; **ტომას იოჰანსონი** (15, შვედეთი) — **ფაბიო ფონინი** (იტალია) 7:6 6:3; **ტიმ ჰენმანი** (ბრიტანეთი) — **ალესიო დი მაურო** (იტალია) 7:5 7:6; **ფილიპო ვოლანდრი** (იტალია) — **ენდი მიურეი** (ბრიტანეთი) 6:4 6:4; **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) — **კარლოს მოია** (ესპანეთი) 6:1 2:6 6:2

ქალები. ბერლინი. თიხნარი

საპრიზო 1 340 000 $

პირველი წრე

ანაბელ მედინა-გარიგესი (ესპანეთი) — **ტატიანა პანოვა** (რუსეთი) 6:1 6:2; **მარტინა ჰინგისი** (შვეიცარია) — **ფლავია პენეტა** (11, იტალია) 7:5 6:3; **ჯულია შრუფი** (გერმანია) — **ემა ლეინი** (ფინეთი) 6:1 6:4; **იულია ვაკულენკო** (უკრაინა) — **მარტა დომაჩოვსკა** (პოლონეთი) 6:4 6:3; **კლარა კუკალოვა** (ჩეხეთი) — **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) 7:5 7:5; **მარია კირილენკო** (15, რუსეთი) — **რობერტა ვინჩი** (იტალია) 6:4 6:3; **მარტინა მიულერი** (გერმანია) — **ჯილ კრეიბასი** (აშშ) 1:6 6:2 6:2; **კატალინა კასტანო** (კოლუმბია) — **სანდრა კლოსელი** (გერმანია) 2:6 6:1 6:1; **ნა ლი** (ჩინეთი) — **ანა ივანოვიჩი** (15, სერბეთი) — **უარო; მარიტ ანი** (ესტონეთი) — **პაოლა სუარესი** (არგენტინა) 6:7 6:2 6:0; **ში ჟენგი** (ჩინეთი) — **ნატალი დეში** (13, საფრანგეთი) 7:6 6:2;

UEFA CUP. უეფას თასი 2005-2006. ფინალი. წუხელ

სევილიას თასს წყალი არ გაუვა

ეინდჰოვენი. „ფილიპსი“. 34 000 მაყურებელი

მიდლსბრო (ინგლისი) 0:4 სევილია (ესპანეთი)

0:1 ლუის ფაბიანო (27), 0:2, 0:3 მარესკა (78, 84), 0:4 კანუტი (89)

მიდლსბრო: შვარცერი, რიგოტი, საუთგეიტი, კედრუ (აიეგბენი 70), პარნაბი, მორისონი (მაკარონე 46), ბოატენგი, როჩემბაკი, დუნინგი, ვიდუკა (კეტერმოლი 86), ჰასელბაინკი

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

სევილია: პალოპი, ხავი ნავარო, დანიელ ალვესი, ესკუდე, დავიდ კასტედო, ხესუს ნავასი, მარესკა, მარტი, ადრიანო კორეირა (პუერტა 86), ლუის ფაბიანო (რენატო 72), საგოლა (კანუტი 46)

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

გაფრთხილება: დანიელ ალვესი (53), ესკუდე (81), როჩემბაკი (83), მარესკა (85)

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

AFP ეინდჰოვენიდან

AFP ეინდჰოვენიდან

AFP სევილიიდან

სრულიად ინგლისს დიახაც, ეამეობოდა, ჰყოლოდა ევროთასის მომგები მწვრთნელი, მაგრამ ბედმა, უფრო კი, „სევილიამ“, სხვაგვარად ინება.

სტივ მაკლარენი ფინალის წამგებად გამოემშვიდობა „მიდლსბროს“ და შეუძლია მთლიანად ჩაეფლოს სანაკრებო საქმეებში — იმ ნაკრებისა, რომელსაც გაწვრთნის ერიკსონის წასვლის მერე ნამუნდიალევს. აი, ბოროელებს კი უფრო დიდხანს გაჰყვებათ ხინჯად გუშინდელი მარცხი. ეგებ, მთელი საუკუნე გავიდეს და „ბორო“ ვეღარ ეღირსოს ფინალში თამაშს.

„ბოროსთვის“ ეს პირველი ევროპული ფინალი იყო ისტორიაში.

ევროპულ ფინალში აქამდე არც „სევილიას“ ეთამაშა, მისი გამარჯვება კი, გვგონია, რომ სრულიად დამსახურებული იყო.

კუნძულელთა რბევა ლუის ფაბიანომ დაიწყო. ის მეურვე რიგოტზე მაღლა ახტა და კოხტა თავურით გაიტანა. პასი ფაბიანოს ალვესმა მისცა.

თუმცა თამაშის გმირად ენცო მარესკას ასახელებენ, რაკი მან ორი გოლით გამოიჩინა თავი. მარესკამ ჯერ კანუტის დარტყმულსა და მეკარე შვარცერის მოგერიებულს დაამატა, რითაც უპირატესობა ორამდე გაზარდა და ინგლისელებს ფარ-ხმალი დააყრევინა. ამის მერე კიდევ ორი გოლის გატანა, ცხადია, უფრო გაიოლდა. მესამე გოლი, ისევ მარესკასი, ოციოდ იარდიდან გაუძვრა შვარცერს, ბოლო სიტყვა კი ფრედი კანუტმა თქვა.

როგორც ვთქვით, „ბორო“ ორი გოლის მერე გატყდა, იქამდე კი, როგორც შეეძლო, იბრძოდა. მთლიანობაში უპირატესობა სევილიელთა მხარეს იყო, მაგრამ უმომენტობას ვერც ინგლისელებს დავწამებთ. ყველაზე გამორჩეული მომენტი, როცა გოლი გარდაუვლად ჩანდა, მარკ ვიდუკამ შექმნა. მცველებმა თავისუფლად მიუშვეს ვიდუკა ბურთამდე და მანაც მეკარის ბაქნიდან საშინელი ძალით ამოსცხო. ნაკლები ძალა და მეტი სიზუსტე აჯობებდა — ანდრეს პალოპს მოახვედრა.

ინგლისური საგენტოები, **BBC**-ს მეთაურობით, კი აღიარებენ, რომ „სევილიამ“ თამაში ალალად მოიგო, მაგრამ წყრომასაც აპარებენ მსაჯის მიმართ. ესპანელთა მეორე გოლამდე ორი წუთით ადრე იყო ეპიზოდი, როცა ხავი ნავარომ ვიდუკა საჯარიმოში წააქცია და მსაჯს პენალტის დადებაც შეეძლო. მერე კი, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა.

თუმცა „სევილიას“ თასი „ბოროზე“ მეტად რომ ეკუთვნოდა, გავიმეორებთ, წყალი არ გაუვა.

კოტე კეკელია

ინგლისი

კონფერენსლიგა
პლეი ოფი
ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
გრეისი 2:2 *ჰალიფაქსი* (2:3)

შოტლანდია

პირველი დივიზიონი
პლეი ოფი. ფინალი
პარტიკი 1:2 პიტერჰედი

II დივიზიონი
პლეი ოფი. ფინალი
ალოა 4:0 ბერვიკი

გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა
XXXI ტური
ელვერსბერგი 1:1 აალენი
ეშბორნი 0:3 კაიზერსლაუტერნი (მ)
ბაიროითი 2:1 ტრირი
კიკერსი 3:2 ბაიერნი (მ)
კობლენცი 1:2 ვეჰენი
დარმშტადტი 3:1 შტუტგარტი (მ)

შვეიცარია

სუპერლიგა
გადადებული მატჩი
იანგ ბოისი 4:2 ბაზელი

ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩი
შო დე ფონი 1:1 კრინსი

სლოვენია

პირველი დივიზიონი
XXXI ტური
ჰაიდუკი 4:1 კამენი
ოსიეკი 0:2 რიეკა
ვარტექსი 3:5 დინამო
ციგალია 2:1 ზაგრები
ინტერი 0:1 მედიმურიე
სლავენი 2:2 პულა

საბერძნეთი

თასის ფინალი
ოლიმპიაკოსი 3:0 აეკ

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. IV ტური
ჰონკა 3:2 იარო

ამხანაგური მატჩი

ლესოტო — სამხ. აფრიკა *გადაიდო*

პოლონეთი

პირველი დივიზიონი. XXXII ტური
ამიკა 5:0 ლუბნა
გურნიკი 0:1 ლეგია
კორონა 0:0 ბელხატოვი
ლეხი 1:2 ოდრა
პოლონია 1:1 პოგონი
ვისლა 3:1 არკა
პლოცკი 1:0 კრაკოვია
ზაგლებე 2:0 გროცლინი

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XXIX ტური
იაბლონეცი 2:0 ბლშანი
ბოლესლავი 4:0 იჰლავა
მოსტი 3:3 ბრნო
სიგმა 0:0 ტეპლიცე
პლზენი 0:2 სლოვაცკო
პრეშიბრამი 2:2 სპარტა
სლავია 4:0 ბანიკი
ზლინი 1:1 ლიბერეცი

შვედეთი

ალსვენსკა. VIII ტური
ჰამარბი 5:2 გაის
გიოტებორგი 2:1 იორგრიტე
იოსტერსი 0:1 კალმარი

სუპერეტა. IV ტური
იორებრო 5:1 უმეა

დანია

I დივიზიონი
გადადებული მატჩები
ლიუნგბიუ 4:0 ჰერფიოლგე
ნიკიობინგი 0:3 ფრედერისია
იოლსტიკე 2:3 კიოგე

უკრაინა

უმაღლესი ლიგა. XXX ტური
ჩერნომორეცი 0:0 მეტალურგი (ზ)
დნიპრო 1:0 კრივბასი
დინამო 2:2 შახტარი
ილიჩევეცი 2:0 ზაკარპატია
მეტალისტი 1:0 ხარკოვი
მეტალურგი (დ) 2:2 არსენალი
ვოლინი 0:0 ტავრია
ვორსკლა 1:0 სტალი

რუსეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები
სატურნი 1:3 *სპარტაკი* (1:1)
ზენიტი 0:3 *ცსკა* (0:1)

სერბეთი

თასის ფინალი
ოფკ 2:4დ.დ.(2:2) ცრვენა ზვეზდა

წამალი „სალხინო“

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მინებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი „სალხინო“ და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

„სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გიგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებული და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე 3,30 დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაპა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ჭინჭლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00